1975 7-32
ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

3
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკოლაში ლ. ბრეჟნევის წერილი მოვიდა

„ძვირფასო ბავშვებო! სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გიბრუნებთ ჩემთვის გამოგზავნილ ფოტოსურათებს. საქმე, რომელსაც თქვენ მოჰკიდეთ ხელი, ჩემის აზრით, ძალიან სასარგებლო და საჭიროა.

გისურვებთ წარმატებებს თქვენს ძიებაში. გილოცავთ მომავალ ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს სწავლაში.

ლ. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი.

1974 წლის 29 დეკემბერი.

მთელი ჩვენი რესპუბლიკა მოირბინა ცნობამ, რომელიც ახალი წლის პირველ დღეებში გამოქვეყნდა. ამ ცნობამ საქართველოს მოსწავლეებს სიხარულით აუჩქროლა გული. თბილისის 37-ე საშუალო სკოლაში მოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წერილი.

რა საქმეა ის, რასაც ლეონიდ ილიას ძე ძალიან სასარგებლოდ და საჭიროდ თვლის?

რა გააკეთეს თბილისის 37-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ისეთი, რამაც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის მაღალი შეფასება დაიმსახურა?

მოსწავლეებმა ძალზე მდიდარი სასკოლო მუზეუმი შექმნეს, რომელიც მამების, უფროსი თაობის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს დიდებაზე ხატოვნად და სახიერად მოგვითხრობს.

ყოველ ექსპონატში — ისინი კი აქ 3000 ცალია — ჩანს დიდი სიყვარული და გულისყური, რითაც ბავშვები ეკიდებოდნენ მათ შეგროვებას და დამუშავებას.

ამ გაზაფხულზე სასკოლო მუზეუმს თავისებური იუბილე აქვს — შექმნიდან მე-10 წლისთავს აღნიშნავს.



ბავშვების სახეს კარგად ეტყობა, თუ რაოდენ დიდი ყურადღება მიიპყრეს ახალმა ექსპონატებმა.



სტენდთან — „საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წელი", პიონერებს ესაუბრება მეათეკლასელი ი. არაქელოვა.

ამ ათი წლის მანძილზე რამდენი მოსწავლე მოსულა აქ, ჩაფიქრებია ნახულს და გაგონილს, აღვსილა მოწიწების გრძნობით იმ საგმირო საქმეთა მიმართ, რაც მათ მამებს უკეთებიათ, შემდეგ მუზეუმის ენთუზიასტთა რიგებს შემატებია და გატაცებით უგროვებია ეს მეტყველი რელიკვიები.

სკოლის კვალმაძიებლებმა აღმოაჩინეს იშვიათი ფოტომასალები, შეისწავლეს ყოფილი მე-18 არმიის გმი-


# პიონერი

3

მარტი

1975

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა




პიონერები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ სასკოლო მუზეუმის ექსპონატებს.



ეს ორი გოგონა კი სტენდის მოწყობით არის გართული.

რული გზა, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე, ხოლო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო ლ. ი. ბრეჟნევი.

37-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ლ. ი. ბრეჟნევს გაუგზავნეს წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ სწავლობენ მე-18 არმიის გმირულ გზას. წერილთან ერთად გაგზავნეს გმირი ქალაქის ნოვოროსიისკისათვის ოქროს ვარსკვლავისა და ლენინის ორდენის გადაცემის დროს გადაღებული ფოტოსურათები და სთხოვეს სასკოლო მუზეუმისათვის განკუთვნილ ამ ფოტოსურათებზე ავტოგრაფი წაეწერა.

ლეონიდ ილიას ძემ მოიწონა თბილისელი მოსწავლეების საქმიანობა და ეს თბილი წერილი და ავტოგრაფი გამოუგზავნა მათ.

მუზეუმს უძვირფასესი რელიკვია შეემატა.

მას შემდეგ მუზეუმს ყოველდღე უამრავი სტუმარი ჰყავს.

სიამოვნებით ჰყვებიან თითოეულ ექსპონატზე მუზეუმის საბჭოს თავმჯდომარე, მე-10 კლასის მოსწავლე ლ. დიაკოვა, სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. მლინაში, სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ბ. სკრიპკო.

სასკოლო მუზეუმის მუშაობას, მოსწავლეთა ინიციატივას ასევე მაღალი შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ. მან უწოდა ამას დიდი მოვლენა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს არამარტო ამ სკოლისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვის. და რომ, ასეთი მასალები კარგი საფუძველია ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

მოსწავლეები მარტო ექსპონატების შეგროვებით როდი არიან დაინტერესებული, ისინი საინტერესო შეხვედრათა მოთავენიც არიან.

ვინ არ ყოფილა აქ — გმირები, რევოლუციონერები, სახელგანთქმული გენერლები, მეომრები, ტექსელის აჯანყების მონაწილენი, იტალიელი პარტიზანები...

ასე რომ, თბილისის 37-ე სკოლის მუზეუმი ცოცხალი ისტორიაა, რომელიც რეკავს, ღაღადებს, გმირობისაკენ მოუხმობს მოზარდებს...

ნარგიზა
მგელაძე.



კაბინეტი — „საქართველო სამამულო ომის დროს". ვინ მოთვლის რამდენი საინტერესო ექსპონატი შემატეს პიონერებმა ახალგახსნილ ექსპოზიციას.

ფოტო ვ. ბორისენკოსი.

# ქალთა საერთაშორისო წელი

**მარიკა ბარათაშვილი,**
ჟურნალ „საქართველოს ქალის“
მთავარი რედაქტორი

ჯერ კიდევ ხრჩოლავდა მეორე მსოფლიო ომის ნახანძრალები, ჯერ კიდევ არ შეეკრა პირი დედამიწის სხეულზე დარჩენილ იარებს, არ მიწყნარებულიყო მოთქმა დაობლებული, იავარქმნილი ოჯახებისა, როდესაც კაცობრიობის მომავლით შეშფოთებულნი — შეიკრიბნენ მსოფლიოს დედები საფრანგეთის დედაქალაქში.

ეს იყო 1945 წლის 1-ლ დეკემბერს.

და ამ დღეს პარიზში, ქალთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელსაც მსოფლიოს 40 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, შეიქმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია (ქ ს დ ფ).

ქსდფ-მ შესძლო ყველა კონტინენტის ქალთა გაერთიანება, მიუხედავად მათი ქვეყნების სოციალური წყობისა, შესძლო მოეცვა ყველა სოციალური ფენა, პოლიტიკური, ფილოსოფიური თუ რელიგიური მრწამსის მიუხედავად.

ზრუნვა მშვიდობისა, განიარაღებისა, ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის, ქალთა უფლებების მოპოვებისა და დაცვისათვის — აი, რა შეადგენს ფედერაციის საბრძოლო ამოცანებს.

მაგრამ ამ მიმართულებით, კერძოდ, ქალთა უფლებების მოპოვებისა და დაცვისათვის ჯერ კიდევ ბევრი, ძალზე ბევრია გასაკეთებელი, რადგან ჯერ კიდევ, ჩვენი პლანეტის მრავალ კუთხეში ქალი განიცდის იურიდიულ თუ ეკონომიურ დისკრიმინაციას.

მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ ისეთი განათლებული ქვეყნის ქალებმაც კი, როგორიცაა შვეიცარია, მხოლოდ აგერ ახლა, ამ ბოლო წლებში მიიღეს საარჩევნო ხმის უფლება.

მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალის შრომის ანაზღაურება დიდად ჩამორჩება მისივე კატეგორიის მამაკაცთა შრომის ანაზღაურებას.

და აი, გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით 1975 წელი ქალთა საერთაშორისო წლად — ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის წელიწადად არის გამოცხადებული.

ამასთან დაკავშირებით, 1974 წლის 4-5 ნოემბერს ტიხანში (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა) შეიკრიბნენ 54 ქვეყნის სხვადასხვა საერთაშორისო რეგიონალური თუ ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ მოიწონეს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის ეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება. შეკრებაზე გადაწყდა მსოფლიო კონგრესის მოწვევა ქ. ბერლინში ამა წლის 20-24 ოქტომბერს.

ქალთა საერთაშორისო წლისა და მსოფლიო კონგრესის სათანადო დონეზე ჩატარებისათვის შეიქმნა საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი, რომელმაც მოწოდებით მიმართა მსოფლიოს ქალებს — ყველას:

ვინც თვლის, რომ ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინება — ადამიანის უფლებების შელახვაა;

ვინც აღიარებს მამაკაცისა და ქალის თანასწორობას ეკონომიურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ოჯახსა და შვილების აღზრდაში;

ვინც იზიარებს აზრს, რომ საზოგადოების ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მიღწეული იქნება ქალთა სრული და რეალური თანასწორუფლებიანობა;

ვინც თვლის, რომ მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა ძირითადი პირობაა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს კაცობრიობის პროგრესი, სოციალური სამართლიანობა, დემოკრატია, ეროვნული დამოუკიდებლობა, მშვიდობა.

— ხელმძღვანელობს რა ქალთა საერთაშორისო წლის მიზნებით, — ნათქვამია მიმართვაში, — საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი მოუწოდებს ყველას, აქციონ მსოფლიო კონგრესი ფორუმად, სადაც შესაძლებელი გახდება გამოითქვას სხვადასხვა შეხედულებები; ფორუმად, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების განმტკიცებას და თანასწორუფლებიანობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის მებრძოლთა გაერთიანებას.

შეკრების მონაწილეებმა იმედი გამოთქვეს, რომ კონგრესი იქცევა ფართო ფორუმად, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქალთა საერთაშორისო წლის წარმატებებში.

•

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა ქალთა საერთაშორისო წლის საბჭოთა კავშირში ჩატარების შესახებ.

— ითვალისწინებს რა ქალის საპატიო როლს თანამედროვე საზოგადოებაში, მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში, — ნათქვამია დადგენილებაში, — პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, შეიქმნას კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა საერთაშორისო წლის ჩატარებას საბჭოთა კავშირში.

კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია კ. ტ. მაზუროვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მოადგილეებად: ბ. ნ. პონომარიოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა — სსრკ ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზოია კოსმოდემიანსკაია

სიმამაცისა და მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმის ბრწყინვალე მაგალითია ზოია კოსმოდემიანსკაიას გმირობა. ლენინური კომკავშირის აღზრდილმა, მოსკოვის 201-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ზოია კოსმოდემიანსკაიამ 1941 წლის შემოდგომაზე კომკავშირულ ორგანიზაციას მიმართა თხოვნით, გაეგზავნათ იგი ფრონტზე. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და ჩარიცხეს რაზმში, რომელსაც მტრის ზურგში უნდა ემოქმედნა. 1941 წლის 18 ნოემბერს ეს რაზმი ნარო-ფომინსკის მახლობლად ფრონტის ხაზზე გადავიდა და საბრძოლო მოქმედებას შეუდგა. ნოემბრის ბოლოს კოსმოდემიანსკაიამ წარმატებით შეასრულა საბრძოლო დავალება — ააფეთქა გერმანელთა იარაღის საწყობი ვერეისკოს რაიონის სოფელ პეტრიშჩევოში. მაგრამ ჰიტლერელებმა მოახერხეს უშიშარი ქალიშვილის ხელში ჩაგდება. ფაშისტმა მტარვალებმა იგი მთელი ღამე სასტიკად აწამეს, რათა რაიმე ეთქმევინებინათ პარტიზანების შესახებ. მაგრამ ვერავითარმა წამებამ ვერ გატეხა ზოიას გმირული სული. მან არაფერი უთხრა ჯალათებს, არც თავისი ნამდვილი სახელი გაუმხილა, თავის თავს ტანია უწოდა. დილით ჰიტლერელებმა დასჯის ადგილას — სახრჩობელასთან პეტრიშჩევოს მცხოვრებლები მორეკეს. სიკვდილის წინ ზოიამ ორთავე ხელით გასწია კისერზე ჩამოცმული ყულფი და მთელი ძალით შესძახა: „მშვიდობით, ამხანაგებო! იბრძოლეთ, ქლიტეთ ფაშისტები!.. ნუ გეშინიათ, სტალინი ჩვენთან არის! სტალინი მოვა!!!“

1942 წლის 16 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ზოია კოსმოდემიანსკაიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა სიკვდილის შემდეგ.



## მუჭშემართული ყველას გულში დგახარ, ტანია

ზოია კოსმოდემიანსკაიას

ცამდე ასული ძეგლი რად გინდა?
სახელი ძლევის მწვერვალებზე აგიტანია...
ვერაგს რისხავდი სახრჩობელას ბნელ აღმართიდან...
ცამდე ასული ძეგლი რად გინდა?
დროშად გარხევდა ქარი, ქალო, ალვისტანიანს.

იგი მოვაო... ჭეშმარიტად იგი მოვიდა,
რომ დაელეწა სისხლიანი ურდო მათი და
ჩამოეხსენი სახრჩობელას შავ აღმართიდან.
ცამდე ასული ძეგლი რად გინდა?
მუჭშემართული ყველას გულში დგახარ, ტანია!

ანა კალანდაძე.

# ზოია რუხაძე

# ვისი გმირობაც ლეგენდად იქცა



ყველა საბჭოთა ახალგაზრდისათვის, ვისთვისაც ძვირფასია მამულის თავისუფლება, ბედნიერება, მშვიდობა, მუდამ შესანიშნავი ნიმუში იქნება სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი ქალიშვილის — ზოია რუხაძის ხანმოკლე, მაგრამ ნათელი ცხოვრება.

ზოია რუხაძემ სამამულო ომის დაწყების წინ დაამთავრა ტექნიკუმი სიმფეროპოლში. აქვე მუშაობდა, სანამ ფაშისტი ბარბაროსები ყირიმში შეიჭრებოდნენ. გერმანელ აგრესორთა წინააღმდეგ საბრძოლველად პატრიოტი ქალიშვილი აქტიურად ჩაება სიმფეროპოლის იატაკქვეშეთის კომკავშირულ ორგანიზაციაში: კავშირს ამყარებდა პარტიზანებთან, მონაწილეობდა კომკავშირული გაზეთის გამოშვებაში, რომელსაც ოკუპირებულ ქალაქში ავრცელებდა. ერთ-ერთი სახიფათო დავალების შესრულებისას იგი მტერს ჩაუვარდა ხელთ. ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების მიუხედავად, ამაყი ქალიშვილი ბოლომდე გაუტეხელ, ჭეშმარიტ მამულიშვილად დარჩა...

„ზოია მათეს ასული რუხაძე. სამშობლოს ერთგული ქალიშვილი, სამამულო ომის პარტიზანი. დაიღუპა წამებით გესტაპოს ჯურღმულებში 1944 წლის 10 აპრილს",—იუწყება წარწერა სიმფეროპოლში სამამულო ომში გმირულად დაღუპულ მებრძოლთა სასაფლაოზე.

## ზოია

(ნაწყვეტი პოემიდან
„ამბავი ერთი ქალიშვილისა")

წაკითხული მაქვს, როგორ აწამეს
მტრებმა შუშანიკ — ქალი ქართველი,
ეკლებზე როგორ გამოატარეს
მამულზე ფიქრით ღამენათევი.

წაკითხული მაქვს, როგორ აწამეს
მტრებმა ქეთევან — ქალი ქართველი,
სისხლის წვეთებად როგორ დასცალეს,
როგორ დაუწვეს მკერდი შანთებით.

მაგრამ, იაკობ, შენც, თეიმურაზ,
განა ზღაპრადაც გაგიგონიათ,
წარმოიდგენდით განა იმ სურათს,
როგორ აწამეს ჩვენი ზოია?

ხელი შეუკრეს, კედელს მიაკრეს,
შანთით დაუწვეს ფეხისგულები.
ბნელი ჯურღმული ააკიაფეს
ზოიას სისხლის ნაკადულებით.

გადაუგრიხეს ნაზი მკლავები...
ცრემლი კი ვერა, სისხლი ადინეს.
შემდეგ აიღეს მარწუხ-კავები
და დააგლიჯეს ფრჩხილი ათივე.

ასე აწვალეს, ასე აწამეს,
მაინც არ მოსწყდა ცრემლი წამწამებს.

თუმც განიცდიდა საშინელ ტკივილს,
ეწვოდა მკერდი, წყურვილი ჰკლავდა,
გაცისკრებული იმედის სხივით,
ამაყად იდგა დიდების კართან...

**იოსებ ნონეშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ კალაძე ნორჩ ვოლგოგრადელთან ერთად საპატიო ყარაულში სტალინგრადის ბრძოლებში დაცემულთა მოედანზე მარადიულ ცეცხლთან.

# იმ დღეთა მოსაგონარი

ომი ყველასათვის თავზარდამცემია, მაგრამ განსაკუთრებით მძიმეა იგი ბავშვებისათვის, მოხუცებისათვის, ქალებისათვის.

მე დიდხანს ვიმყოფებოდი სხვადასხვა ფრონტზე, ბევრჯერ მინახავს მტრის ბარბაროსული ნამოქმედარი. ჩემს მეხსიერებას დღემდე შემორჩა რამდენიმე ძნელად დასავიწყარი ეპიზოდი, რომლებიც ბავშვებთანაა დაკავშირებული.

1939 წელს თეთრფინელების წინააღმდეგ ვიბრძოდით. იმ ზამთარს დიდი ყინვები დაიჭირა, თოვლიც ღრმა იყო... ფინური სოფლის ერთ-ერთი ქოხიდან ბავშვის ტირილი შემოგვესმა. ატირებულ ბავშვს კი, ვისიც უნდა იყოს, გულგრილად ვერ ჩავუვლი... ერთ-ერთ ჩვენს მებრძოლს ვუბრძანე, გაიგე, რა ხდება-მეთქი.

ჯარისკაცმა მალე მომახსენა: სარწეველაში უპატრონოდ მიტოვებული ბავშვიაო... მთხოვა — ნება მომეცით წამოვიყვანო და სოფელში ვინმე ქალს გადავცეო... ვყოყმანობდი... ჩემი დუმილი ჯარისკაცმა თანხმობად მიიღო და ქოხში შევარდა. უცებ აფეთქების ხმამ იქაურობა შეძრა — ბავშვი და მეომარი დაიღუპნენ. გამოირკვა, რომ მშობელს დანაღმულ სარწეველაში დაეტოვებინა შვილი, თვითონ კი გაქცეულიყო.

ძნელი სათქმელია, იმ გაბოროტებულ დედას ეს ჩვენმა სიძულვილმა ჩაადენინა თუ სიგიჟემ.

დიდი სამამულო ომის დროს განსაკუთრებით დიდი უბედურება დაატყდა თავს მოსახლეობას. რუსები, უკრაინელები, ბელორუსები თავიანთ დედულ-მამულს ტირილით ტოვებდნენ და აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ.

შიმშილის, სიცივისა და გამხეცებული მტრის ყუმბარებისაგან იღუპებოდნენ ბავშვები, ქალები, მოხუცები.

1942 წლის 17 ივლისიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე სტალინგრადში მიმდინარე უდიდესი მასშტაბის ბრძოლებს, რომლის მსგავსი ომის ისტორიას არ ახსოვს, სტალინგრადის დიდი ეპოპეა ეწოდა. მასში მეც ვმონაწილეობდი.

სტალინგრადში ფაშისტ-დამპყრობთა განადგურებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: ყველამ — სარდლიდან რიგით ჯარისკაცამდე — იცოდა, რომ სწორედ ვოლგისპირეთში წყდებოდა დიდი სამამულო ომის ბედი. ნახევარი წელიწადი იწვოდა, ინგრეოდა სტალინგრადი, თავდადებით იბრძოდნენ და იღუპებოდნენ ჩვენი გულადი მეომრები, ოფიცრები, ქალაქი კი მტერს არ ნებდებოდა. ცეცხლის წინა ხაზზე ფიცს დებდნენ საბჭოთა მეომრები: „სამშობლოსათვის მოვკვდებით, მაგრამ მტერს არ დავნებდებით". და ვაჟკაცები თავიანთი ფიცის ერთგულნი დარჩნენ ბოლომდე...

და აი, დადგა ნანატრი დღეც: 1942 წლის 23 ნოემბერს საბჭოთა ჯარების შენაერთებმა ალყაში მოაქციეს ჰიტლერელთა 330-ათასიანი არმია. ჩვენმა სარდლობამ ჰუმანურობა გამოიჩინა და გერმანელ-ფაშისტთა ჯარების სარდალს პაულიუსს აღუთქვა, რომ უსიტყვო კაპიტულაციის შემთხვევაში სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ მის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. მაგრამ 1942 წლის 24 ნოემბერს პაულიუსმა ჰიტლერის ასეთი ბრძანება მიიღო:

„მე-6 არმიის ჯარები დროებით გარშემორტყმული არიან რუსების მიერ. განზრახული მაქვს, თავი მოვუყარო არმიას სტალინგრადისა და კოტლუბანის რაიონში. სიმაღლე 137, სიმაღლე 135... არმიის პირად შემადგენლობას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ყველა ზომას მივიღებ, რათა უზრუნველვყო ჯარების ნორმალური მომარაგება და დროულად გავათავისუფლო იგი გარემოცვისაგან. მე ვიცნობ მე-6 არმიის მამაც პირად შემადგენლობასა და მის სარდალს და დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი შეასრულებთ თქვენს მოვალეობას".

მაგრამ ჰიტლერის დაპირება ამაო იყო, და 1943 წლის 2 თებერვალს დამთავრდა გარემოცულ ჰიტლერელთა ჯარების განადგურება სტალინგრადში.

იმ მრისხანე დღეებში ბევრი მძიმე სურათის მოწმე გახლდით, მაგრამ მათ შორის ნამდვილად საზარელი იყო 1942 წლის ზაფხულში ფაშისტების მიერ ჩადენილი მხეცობა.

ცეცხლწაკიდებულ ქალაქიდან ბავშვები გაჰყავდათ. ბორანზე ერთმანეთს ეკვროდა სამი ათასი გაფითრებული გოგო-ბიჭი. შიშისაგან დაზაფრული მოზარდები ზეცას შეჰყურებდნენ. ჰიტლერელ ბანდიტ-მფრინავებს ადვილად შეეძლოთ გაერჩიათ, რომ ეს ბავშვებით სავსე ბორანი იყო. მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი რამ: ჰიტლერელებმა ყუმბარებით ააფეთქეს ბორანი და ერთიანად მოსპეს სამი ათასი ბავშვი და მასწავლებლები.

და მაშინ, ბავშვების სისხლით შეღებილ ვოლგის ნაპირზე ჩვენმა მეომრებმა ფიცი დადეს — შეუბრალებლად ვულეტთ ამ შხამიან ქვეწარმავლებსო. ეს ფიცი მათ წმინდად შეასრულეს.

სტალინგრადისათვის იმ კრიტიკულ დღეებში მტერი მძვინვარებდა, დღე და ღამ გვბომბავდა. ერთ-ერთი საჰაერო თავდასხმის დროს ჰიტლერელთა ასზე მეტმა ბომბდამშენმა ქალაქი ცეცხლსა და კვამლში გახვია.

...დივიზიის შტაბიდან გამოვედი, სამეთაურო პუნქტზე მივეჩქარებოდა. როგორც იქნა ვიპოვე ჩემი ავტომანქანა. მაგრამ მტრის ჭურვს იგი ლითონის ჯართად ექცია. მძღოლი მკვდარი იყო. გზა ფეხით განვაგრძე... ერთ ადგილას, ცეცხლწაკიდებული სახლიდან ბავშვის ტირილი მომესმა. სახლში შევვარდი. დედა დაღუპული იყო, სასწაულად გადარჩენილი ჩვილი კი უმწეოდ სხმარტალებდა. ის იყო ბავშვი გარეთ გამოვიყვანე და სახურავიც ჩაიქცა...

სტალინგრადის გათავისუფლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა გეზი დასავლეთისაკენ აიღეს. საბჭოთა მიწიდან ფაშისტი ურჯუკების ამოფესვის შემდეგ ჩვენს წინაშე ახალი ამოცანა დაისახა: ოკუპირებული ქვეყნების გათავისუფლება მიხაკისფერი ჭირისაგან.

51-ე გვარდიული დივიზია, რომელსაც მე ვმეთაურობდი, ჩრდილოეთ ბუგს მიადგა. ეს მდინარე პოლონეთის მიწას ესაზღვრება. მრავალათასიანი ჯარითა და ტექნიკით ღრმა, განიერი და ჩანჩქერიანი მდინარის უხიდოდ და უფონოდ გადალახვა ძნელია, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ რთული ამოცანა იყო ეს ახლა, როცა მტერს მოპირდაპირე ნაპირი გამოთოფილი ჰქონდა. ამ მძიმე წუთებში, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, ჩვენს დასახმარებლად მოდიოდნენ პოლონელი ბავშვები, რათა ფონი ეჩვენებინათ, მეგზურობა გაეწიათ, თავიანთი სატკივარი ჯარისკაცებისათვის მოეთხროთ. 10-12 წლის მშიერ-მწყურვალი მოზარდები იმედით, სიყვარულით შეჰყურებდნენ ჩვენს მეომრებს. მათ სჯეროდათ, რომ მხოლოდ წითელ არმიას შეეძლო პოლონელთა ხსნა...

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. მიწით ამოივსო მეომართა საფარი თხრილები, სანგრები; ჯეჯილი ბიბინებს იმ ველ-მინდვრებში, სადაც სამი ათეული წლის წინათ ქვემეხები გრუხუნებდნენ, ხრჩოლავდნენ დამწვარი ტანკები... ბედნიერი ცხოვრებაა დამკვიდრებული მრავალტანჯულ, ოდესღაც ნანგრევებად ქცეულ ქალაქებსა და სოფლებში.

დრო დიდი მკურნალია, და სწორედ განვლილმა 30 წელმა მოაშუშა ღრმა ჭრილობები. გისურვებთ, ბავშვებო, არასოდეს გადაგეტანოთ ის ფიზიკური და სულიერი ტკივილი, რაც ომის წლებში წილად ხვდა თქვენს თანატოლებს. დაე, თქვენი ცა მუდამ უღრუბლო, მზიანი იყოს!

**ნიკოლოზ კალაძე,**
თადარიგის გენერალ-მაიორი.

**გიორგი კაჭახიძე**

## რამ შეგაშინა, ზამთარო!

რამ შეგაშინა, ზამთარო,
როგორ შეგცვლია ფერი!
თავზე გადნება ყინულის
მოზარნიშული ჭერი.

სანამ დრო გიდგა — ზამთრობდი,
სუსხით მოგწონდა თავი.
ქარბუქის შიშით მუხნარში
ფრთას ვერ აქნევდა ყვავი.

ზვარეთში ვაზი შეგვიკრთე,
მოწიფულიც და ჩვილიც,
სანარინჯოში — ნარინჯი,
თბილი მთა-ბარის შვილი.

ახლა რა მოგდის! ის არ ხარ,
დღე-დღე გაკლდება ძალა,
ვერ ფარავს ფარულ სიხარულს
მოცოცხლებული ჭალა.

მზეს შესციცინებს, — ის უთბობს
ყინვით დაშაშრულ გულმკერდს,
ბექობში თოვლის ნაჟური
წყაროდ წანწკარებს უკვე.

ტყის პირას ელფერს იბრუნებს
მივიწყებული კორდი...
არ მიკვირს,
ია გამოჩნდა
და გაზაფხული მოდის.

## [illegible] გაზაფხულის

არ დააყოვნე, გვეწვიე,
ღონეც შეგვმატე, სიმარდეც.
ავდარში დაბადებული
ღიმილად წამოიზარდე.

ჩვენს თვალწინ დაგივიწროვდა
ჭირხლში ნაკერი ხალათი, —
გაიძვრე, გაიცქრიალე
და გაზაფხულად განათდი.

გადიდდი, გაგვიზურმუხტდი,
დიდი სინათლით აგვავსე,
ბალახი აგვიბიბინე
ჯეჯილი აგვიხასხასე.
ააფუსფუსე ფუტკრები,
დაამეგობრე ყვავილეთს,

მერცხლები ჩამოურიგე
ჩვენს ჩუქურთმიან აივნებს.

არ დაავიწყე ბერმუხას
წყაროზე ჩრდილის დაფენა.
ბუნების კარი გაგვიღე
შორს გასახედად, საფრენად.

ჩვენც ვიფრენთ, საფრენს
რა დალევს,
მამულ-დედული დიდია.
ცას ვარსკვლავები ციმციმა
ჩვენს დასაკრეფად ჰკიდია.





ზაზა ბაწელაშვილი

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე

# მთვარის დაბადება

მოთხრობა

— ვიფიქრე, ესენი საკაიკაცოდ არ არიან მოსული-მეთქი და არ ამიხდა! — ვისთვის მოჭერით, ვისთვის? ასლანისათვის, ალბათ! — ღრიალებდა იოსება პაპა. ყველანი მოხუცთან მივედით. ასლანს ჭიქა ხელში ეჭირა, ისე უაზროდ გვიყურებდა, თითქოს ვერ გარკვეულიყო, რატომ ბობოქრობდა ძველი მეტყევე. გაბროს და ღვთისოს მხრები აეწურათ, მოტორიანი ხერხი იქვე დაეგდოთ, შეშინებული უყურებდნენ იოსება პაპას. გერონტი მონუსხულივით იდგა...

— თქვე უსინდისოებო, როგორ გაბედეთ იმ ვაჟკაცების ნაფეხურებზე გაზრდილი მუხის მოჭრა! ვერ გაძეხი, ასლან, ხე-ტყით, არაფერი გადაგრჩა მოსაჭრელი... შვილივით ნაზარდი მუხა მომიჭერით... არ შეგრჩებათ, არა...

იოსება პაპა აქვითინდა და მოჭრილ მუხაზე დაემხო.

შინ გვიან დავბრუნდით. მოხუცი ძლივს მოლასლასებდა, ერთთავად ბრაზობდა, ასლანს ემუქრებოდა. ჩვენ კი დამნაშავეებივით მივდევდით უკან...

„რატომ დროზე არ ვიყვირე, რამ ჩამიგდო ენა!“— ვუბრაზდებოდი საკუთარ თავს.

იოსება ოხრავდა. სულ ბოლოს თავჩაქინდრული, გაფითრებული გელა ფეხათრევით მოდიოდა...

●

დღეს გელა სულ რაღაცის სათქმელად ემზადებოდა, მაგრამ ვერ დავიმარტოხელეთ ერთმანეთი. როგორც კი სადილობის დრომ მოაღწია და ბიჭები შინ წავიდნენ, გელამ მითხრა:

— გულად, იცი, დღეს დედაჩემმა გამახსენა, რომ თხუთმეტი წლისა გავხდი. დღეს ჩემი დაბადების დღე ყოფილა. ძალიან მინდა ეს დღე აღვნიშნო. თუ ჩემი ამხანაგი ხარ, უეჭველად უნდა მესტუმრო.

გელა თავჩაღუნული ლაპარაკობდა. მივხვდი, რატომ არ მითხრა ეს ამბავი ბიჭების თანდასწრებით — მაშინ ისინიც უნდა დაეპატიჟა, მის ოჯახს კი საამისო საშუალება არ გააჩნდა.

— აუცილებლად მოვალ!

გელამ თავი ასწია და თვალი თვალში გამიყარა.

— ახლავე უნდა წამოხვიდე!

— შინ წავალ, ჩვენებს ვეტყვი და გამოვიქცევი.

— ახლავე უნდა წამოხვიდე! — ჯიუტად გაიმეორა.

— ასე ხელცარიელი ხომ ვერ მოვალ?!

— არაფერია საჭირო! შეტყობინება თუ გინდა, სანდროს დააბარე.

— სანადრო, ჩვენებთან წაცუნცულდი, დედაჩემს უთხარი, გულადი გელასთან იქნება-თქო, — გავძახე ჩემს მეზობელ ბიჭუნას.

— წავიდეთ! — წინ გამიძღვა გელა.

იგი შუბლშეჭმუხნილი მიდიოდა და, სანამ მისი ეზოს ჭიშკარს არ მივადექით, არც ხმა ამოუღია და არც ჩემკენ გამოუხედავს.

ჭიშკართან შედგა, შემოტრიალდა, გამიღიმა და მორყეული კარი გააღო. ორივენი ეზოში შევედით. სახლის კარი გადარაზული იყო, ეთერი დეიდა მეზობელთან წასულიყო და ბარათი დაეტოვები-

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 2.

ნა, მალე მოვალო.

გელა უხერხულად აწრიალდა, არ იცოდა რა ექნა, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— გულადო, აი, ამ სკამზე ჩამოჯექი. — მიმითითა საჩეხში დადგმულ სამფეხაზე, თვითონ კი ბარი მოარბენინა და ქვევრს თავის მოხდა დაუწყო. მეც მივეხმარე.

— ამ ხუთვედროიან ქვევრში მე და დედაჩემმა ერთი გოდორი ყურძენი ჩავწურეთ. დედამ მითხრა: უკვე დიდი ხარ, ტოლ-ამხანაგები გესტუმრებიან და ,ოჯახში ღვინო აუცილებლად უნდა გქონდესო.

გელა ქვევრის ყელის გარშემო ფრთხილად ბარავდა, მე კი მიწას ხელით ვბღუჯავდი და იქვე გვერდით ვყრიდი. თავი ღრმად ჩავკიდე, მაღლა ახედვისა მეშინოდა, რადგან თვალებში ცრემლები მომაწვა.

ქვევრის ყელი გავაშიშვლეთ და საძუდე ქვა ცოცხით გადავწმინდეთ.

— ჯერ არ მოვხადოთ, საჭმელად რამე გავაკეთოთ, — თქვა გელამ. სახლში შევიდა, კარტოფილი გამოიტანა და თლა დაუწყო.

ჭიშკარმა დაიჭრიალა და მალე საჩეხში ეთერი დეიდა შემოვიდა.

— რას აკეთებ? — შეეკითხა გელას.

— დედა, გულადი დაბადების დღეზე მოვიპატიჟე!

— მერე, ამით აპირებ გამასპინძლებას? — შეიცხადა ეთერი დეიდამ. — ახლავე ქათამს დავიკლავთ.

— კარგს იზამ, დედა! — თვალები გაუბრწყინდა გელას და ტაფა ცეცხლიდან ძირს გადმოდგა.

ეთერი დეიდამ საკენკი გამოიტანა და ქათმებს მოუხმო.

ერთ წუთში ათიოდე ქათამი კისრისტეხით მოვარდა და დაყრილ საკენკს დაესია.

— აი, ის ქათამი დაიჭირე, შვილო! — მოზრდილ ჭრელ ქათამზე მიუთითა.

გელა მიეპარა, ისკუპა, მაგრამ ქათამი ხელებშუა გაუსხლტა.

— მომეხმარე, გულად! — მომაძახა გელამ.

ორივენი ჭრელ ქათამს დავედევნეთ. დიდხანს ვდიეთ, მაგრამ ვერა და ვერ მოვიხელთეთ. გელა დაღონდა.

— სხვა ქათამს დავიჭერთ, დედა!—თქვა გელამ.

— რომელიც გინდათ, ის დაიჭირეთ.

უცებ ერთმა აზრმა გამიელვა თავში.

— ეთერი დეიდა, ჭინჭრის მხალი გაგვიკეთეთ, ქათმის ხორცს ის მირჩევნია. შენ არ გიყვარს ჭინჭარი? — მივუბრუნდი გელას.

— ზეთში მოხრაკული ჭინჭარი ძალიან გემრიელია! — თქვა გელამაც.

— მოდი, დავკრიფოთ!

ღობის ძირ-ძირ ეზოს გარშემო ნორჩი ჭინჭარი მწვანედ ბიბინებდა.

ეთერი დეიდამ ვედრო გამოიტანა. ხელებზე ძველი ხელთათმანები ჩაიცვა და ჭინჭრის კრეფას შეუდგა. ჩვენც ვცადეთ დახმარება, მაგრამ შიშველი ხელები დაგვესუსხა...

ბიჭები ისევ ცეცხლს მივუბრუნდით, დიდი ქვაბი გამოვიტანეთ და ზედადგარზე შევდგით.

მზე ჩასასვლელად მოემზადა და სუფრაც უკვე გაწყობილია. დიდ სინზე დახვავებულ ჭინჭრის მხალს ოხშივარი ასდის. გელამ რქაწითელით სავსე ხელადა სუფრაზე მოიტანა და პატარა სასმისები შეავსო.

— ამას ჰქვია, ალბათ, ჭურის თავზე ქეიფი! — ღიმილით ამბობს გელა.

ეთერი დეიდა ისევ დაფუსფუსებს, ალბათ იმაზე ფიქრობს, კიდევ რა მოიტანოს სუფრაზე.

მე სასმისს მაღლა ვწევ:

— გაგიმარჯოს, გელა! დღეს თხუთმეტი ივნისია და თხუთმეტი წლისა შესრულდი. იცოცხლე, სანამ მზე ამოდის და ჩადის, სანამ ცისარტყელა შვიდფერად იხატება ჩვენი სოფლის ცაზე, სანამ ალაზანი დაშრება...

რაც შემიძლია ხმამაღლა და გამოთქმით ვამბობ სადღეგრძელოს. ამ სიტყვებს ხშირად ხმარობს თევდორე პაპა, როცა სუფრის თამადაა, და მეც კარგად დამამახსოვრდა.

გელა სამადლობელოს იხდის, ჭიქებს ხელახლა ავსებს და ჩემს სადღეგრძელოს ამბობს. ეთერი დეიდაც ვადღეგრძელეთ, მამა-პაპანიც, დედმამიშვილებიც, მასწავლებლებიც, თანაკლასელებიც, არც იოსება პაპა დავივიწყეთ.

— ძალიან არ დათვრეთ! — გვაფრთხილებს ეთერი დეიდა.

— ნუ გეშინია, დედა, ჩვენ უკვე დიდი ბიჭები ვართ! — იღიმება გელა.

ჩამობნელდა. დღე ღამეს გაეყარა. ციდან ვარსკვლავები ციმციმით გვიყურებენ, ხანდახან თვალს გვიკრავენ... და ასე მგონია, იციან, რომ დღეს გელას დაბადების დღეა. ბებიასაგან გამიგონია: როცა ადამიანი იბადება, მისი საბედო ვარსკვლავიც ინთება ცაზე და მანამდე ანთია, სანამ ის, ვინც ამ ქვეყანაზე გაჩნდა, თავისი ცხოვრების მოკლე ან გრძელ გზას არ დაასრულებს. თუ ასეა, იმ ურიცხვ ვარსკვლავებში ჩემი და გელას ორი ვარსკვლავიც კიაფობს, ნეტავ რომლებია?

უსაზღვროა ცა, მოდი და იპოვე შენი ვარსკვლავი! მე და გელა გაფაციცებით დავეძებთ. იმ ვარსკვლავებს ვირჩევთ, რომლებიც უფრო ბრწყინავენ, მაგრამ არაფერი გამოგვდის, რადგან ორივეს გვჯერა, რომ ისინი აუცილებლად ტოლ-ტოლი უნდა იყვნენ და გვერდი-გვერდ დამსხდარნი, როგორც ახლა ჩვენ ვსხედვართ.

ნეტავი რომლებია ჩვენი ვარსკვლავები?!

ერთი კვირაა, ეთერი დეიდა საავადმყოფოში წევს. გელა მარტოა. მინდა მასთან ვიყო მაგრამ ვერ ვახერხებ, მხოლოდ ხანდახან თუ შევასწრებ თვალს. ხან რომელიმე სატვირთო მანქანის ძარაზე ზის, ხან კიდევ ასლანის „ვოლგას“ რეცხავს. აშკარად თავს მარიდებს.

დედაჩემი უკვე ორჯერ იყო ეთერი დეიდას სანახავად. ავადმყოფს უთქვამს — შენი იმედი მაქვს, ბიჭს მიმიხედე, არაფერი გაუჭირდესო. დედაჩემი მოსვენებას არ მაძლევს, გელა მოიყვანეო.

მაგრამ გელა შინ თითქმის არასოდეს არის, ღამეს სხვაგან ათევს. ბევრი ვიფიქრე, სად შეიძლებოდა მენახა იგი და გადავწყვიტე, საავადმყოფოსთან დავდარაჯებოდი.

შუადღის მზეზე მხრები და კისერი ამეწვა, მე კი ჯიუტად ვდგავარ და გელას ველოდები. სასწრაფო დახმარების მანქანამ უკვე ორჯერ მოიყვანა ავადმყოფები. ატყდა ექიმების ფუსფუსი. ბოლოს ესეც მიწყნარდა და ისევ გზისკენ დავიწყე ყურება.

ასლანის მანქანის საყვირის ხმა მომესმა. ასეთი სისტემის საზღვარგარეთული საყვირი მარტო მის მანქანას ედგა. გულში გამკენწლა იმ აზრმა, რომ შეიძლებოდა გელა ასლანთან ერთად მოსულიყო. ჩემი ნაფიქრი მართალი გამოდგა — შავი „ვოლგა“ სწრაფად მოიჭრა საავადმყოფოს კართან და გაჩერდა. მანქანიდან ასლანი გადმოვიდა, ჩემკენ არც კი მოუხედავს, ისე უთხრა საჭის გვერდით მჯდომ გელას:

— შენ აქ იყავი, მე მოველაპარაკები.

კარისკაცმა მოწიწებით გაუღო კარი. ასლანმა მას ჯიბეში ფული ჩაუდო, გრძელი, შუშაბანდიანი დერეფანი გაიარა და ერთ-ერთ ოთახში შევიდა.

— გელა! — დავიძახე მე და მანქანასთან მივედი.

ჩემს დაძახილზე გელა შეკრთა, მე-

რე მზერა ამარიდა და ასანთის კოლოფს დაუწყო ხელში თამაში.

— როგორ არის დედაშენი? — ვცადე ლაპარაკის დაწყება.

— ცუდად! — მომიჭრა მოკლედ.

— დღეს დილაადრიან დედაჩემი აქ იყო. მითხრა, ეთერი დეიდას ორ კვირაში გამოწერენო.

გელამ იმედიანად შემომხედა, თვალებში სიხარულის ნაპერწკლები გაუკრთა.

რაც შემეძლო, სერიოზული სახე მივიღე და ნაღვლიანად ვთქვი:

— დედაჩემი შინ აღარ მიშვებს!

— რატომ? — ენა ამოიდგა გელამ.

— სანამ გელას არ მომგვრი, არ დამენახოო. ვინ იცის, ბიჭს როგორ უჭირს, შენ კი ვერ მოგიძებნიაო. მართლაც, სად ათევ ღამეს?

— ძია ასლანთან! — ცალყბად მითხრა გელამ.

— დღე და ღამე სულ იქა ხარ?

— არა, დღისით სახერხ ქარხანაში ვარ, ვმუშაობ, თვეში ოცდაათი მანეთი ხელფასი დამინიშნეს.

— ვინ დაგინიშნა?

— ძია ასლანმა. თუ თავს გამოიჩენ, მერე და მერე მოგიმატებო.

— მერე, დედაშენმა იცის?

— არა! თუ ძმა ხარ, მასთან არ წამოგცდეს!

— რომ გაიგოს?

— საიდან გაიგებს?!

— ასლანი ვისთან მოვიდა?

— ექიმთან. წუხელ ქსენია დეიდა აუტყდა, ხვალ ეთერის მკურნალი ექიმი ნახე, ფული მიეცი, რომ მეტი ყურადღება მიაქციოსო.

ერთ წუთს ჩავფიქრდი და ისევ შევეკითხე:

— არ გიჭირს მუშაობა? ალბათ ფიზიკურად მუშაობ.

— ნახერხსა და ფიცრის ნაჭრებს ვაგროვებ. ეგ რა სამუშაოა! შენ ის უნდა ნახო, შოფრები სულ ბუზებივით რომ მეხვევიან. — დაიტრაბახა გელამ და რბილ სავარძელზე მედიდურად გადაწვა.

— რატომ გეხვევიან?

— ვისაც ფიცრის ყიდვა უნდა, მე ვუწყობ საქმეს.

— ვისთან?

— ძია ასლანთან.

ასეთი პასუხი მოულოდნელი იყო ჩემთვის, ერთ წუთში თითქოს ჩემს წინ ის გელა არ იყო, რომელსაც ამდენი ხანია ვიცნობდი. უცებ გული მეტკინა, თითქოს ძვირფასი რამე დამეკარგოს.

კარის ჯახუნი გაისმა. ასლანი და ახალგაზრდა ექიმი მოდიოდნენ. მე მანქანას მოვშორდი, შორიახლოს დავდექი.

— ნუ გეშინია! — უთხრა ასლანმა გელას, — ექიმი არაფერს გაუჭირვებს დედაშენს, თუ საჭირო იქნა, ჩიტის რძესაც გაუჩენს. — მერე ექიმს ხელი მხარზე გადაუსვა, მრავლისმთქმელად აზიდა წარბები, — ამ საღამოს პატარა წავიპურმარილოთ ყურყურაზე, რესტორანში. ერთიორი ხელმძღვანელი მუშაკიც იქნება ჩვენთან. რაიონში ახალი ჩამოსული ხართ, თანდათან უნდა გაეცნოთ ხალხს.

სიტყვა „ხალხს“ ასლანმა ხაზი გაუსვა.

— არა მცალია! — თქვა ახალგაზრდა ექიმმა. — ამაღამ მორიგე ვარ.

— სხვა იმორიგევებს შენს მაგივრად. თუ გინდა, ახლავე ვეტყვი მთავარ ექიმს! — ასლანი კარისკენ შებრუნდა.

— არ არის საჭირო, — შეაჩერა ექიმმა, — გმადლობთ!

— მაშინ... — ასლანმა ჯიბეზე გაიკრა ხელი, ხუთთუმნიანი ამოიღო და ექიმს თეთრი ხალათის ჯიბეში ჩაუკეცა.

— როგორ გეკადრებათ! რას შვრებით! — იყვირა ექიმმა.

— ნუ მომერიდები, ეს ისე... როცა თავისუფალი დრო გქონდეს, შენს კოლეგებთან ერთად ჩვენი თედოს ბუფეტში ერთი კონიაკი მაინც გახსენი...

— უკან დაიბრუნეთ! — აღშფოთებულმა ექიმმა ასლანს ფული ხელში შეაჩეჩა და საავადმყოფოში შევარდა.

— ფუ! — ასლანმა მანქანის კარი გააღო და საჭესთან დაჯდა. — ეს ვინ ყოფილა! მშიერი მოკვდები, ბიძია, მაშინ ხელს თვითონ გამომიწვდი!

„ვოლგა“ ერთბაშად მოსწყდა ადგილიდან და გადარეულივით გაიჭრა ქუჩაში.

კარგა ხანს დაბნეული ვიდექი. მთელი სხეული დამიმძიმდა...

უცებ იმ ახალგაზრდა ექიმს მოვკარი თვალი, საავადმყოფოს ეზოში მიდიოდა. სირბილით დავედევნე.

— პატივცემულო ექიმო! — შევძახე. გული გამალებით მიცემდა.

ექიმი შემოტრიალდა, გაკვირვებით შემომხედა.

— რა მოხდა?

— თქვენ... თქვენ ეთერი დეიდას მკურნალი ხართ?

— დიახ.

— პატივცემულო ექიმო... ეთერი დეიდა გელას დედაა, გელა ჩემი ამხანაგია. გელას ძალიან უყვარს დედა... მეტი არავინა ჰყავს გელას, არც მამა, არც...

ენა ისე დამება, ალბათ, ავზლუქუნდებოდი, ექიმს რომ არ ეთქვა:

— შენი ეთერი დეიდა ახლა შედარებით კარგადაა, საშიში არაფერი სჭირს.

ექიმმა გაიღიმა, ახლოს მოვიდა და მითხრა:

— იმ შენს ამხანაგს გადაეცი, რომ ნუ იდარდებს!

— გმადლობთ, პატივცემულო ექიმო! — ვთქვი ეს და შინისაკენ მოვკურცხლე.

იმ დღეს ბიჭები ტყეში წასასვლელად ვემზადებოდით. იქ უკვე მაყვალი მწიფდა. შევიგულებდით მაყვლიან ადგილებს და მეორე დღეს ჩვენი დედებით, ბებიებითა და პაპებით წავიდოდით საკრეფად. მაგრამ მოულოდნელად იოსება პაპას მეზობელი ბიჭი პაატა მოვარდა ჩემთან — იოსება პაპა ძალიან ცუდად არის და სასწრაფოდ გიბარებსო.

მაშინვე იოსება პაპას სახლისაკენ გავეშურე.

რომ მივედი იოსება პაპა მშვიდად იწვა, სასთუმალთან პაატას ბებია ვარო ეჯდა, შუბლზე ცივ ტილოს ადებდა. მივხვდი, რომ იოსება პაპას სიცხე ჰქონდა მაღალი.

— მოხვედი, შვილო გულად? — დინჯად შემეკითხა იოსება პაპა.

— რა მოგივიდა, იოსება პაპა?

— გავცივდი, ალბათ, შვილო, რევმატიზმებმაც შემომიტია და მთლად გამაშეშა, ეს სატიალო არც მკლავს და არც მარჩენს. — მერე ვარო ბებიას მიმართა: — ვარო, დიდ მადლობას მოგახსენებ, გაგსარჯე, საქმეს გაგაცდინე... ახლა კი ცოტახანს მარტო დაგვტოვე მე და ეს ბიჭი, სათქმელი მაქვს რაღაც.

— კარგი, მე მალ-მალე დაგხედავ ხოლმე. — უთხრა ვარო ბებიამ და წავიდა.

— შვილო გულად, არ გაგიკვირდეს, ახლა რასაც გეტყვი! — იოსება პაპა ერთხანს გაჩუმდა, ჭერს მიაჩერდა და ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე განაგრძო: — ანდერძი მინდა დაგაწერინო.

— რა ანდერძი, იოსება პაპა! — გავოცდი მე.

— ნამდვილი ანდერძი. ხომ იცი, ყველას თავისი აღსასრული აქვს, იქნება ჩემთვისაც დადგა ეს დღე, ჩემი ხნისა ყვავიც აღარ ცოცხლობს. დროა დავასვენო ბებერი ძვლები.

— რას ამბობ, იოსება პაპა, რა დროს სიკვდილია?! — შევძახე მე.

— დროა, დრო, ბედის მამალმა დამყივლა! — გაიღიმა იოსება პაპამ და დაყვავებით განაგრძო: — კარა-

დაში ქაღალდი და საწერ-კალამია, მოიტანე და დაწერე, რაც გითხრა.

ქაღალდი და მელანი ვიპოვე და მაგიდაზე დავდე.

— დაჯექი! — მითხრა იოსება პაპამ. სკამი მაგიდასთან მივაჩოჩე. თავი მიბრუოდა, ასეთი ამბავი მხოლოდ წიგნებში წამეკითხა. ერეკლე მეფე და ბესიკ გაბაშვილი გამახსენდა. წარმოვიდგინე ის სურათი, თუ როგორ აწერინებდა მეფე ერეკლე ბესიკს სამეფო ანდერძს ბრძოლის დაწყების წინ.

— დაიწყე, შვილო! — ფიქრებიდან გამომარკვია იოსება პაპამ. — აიღე კალამი ხელში, რაღას უყურებ!

კალამი მოვიმარჯვე.

— ჰო, დაიწყე! — თქვა მტკიცედ იოსება პაპამ.—მე, იოსებ ალექსანდრეს ძე ტაბახმელაშვილი, ჩემს სახლს, თავისი უძრავ-მოძრავი ქო-



ნებით, ეზო-კარმიდამოთი და ბაღჩაბოსტნით ვუანდერძებ გელა ნიკოლოზის ძე შიოშვილს.

— იოსება პაპა! — შევყვირე გაოცებით და სიხარულისაგან თვალები ერთბაშად ცრემლებით ამევსო, თავით-ფეხებამდე ჟრუანტელმა დამიარა

— რა იყო, შვილო, არ მოელოდი ამ ამბავს, არა? მაგ ბიჭის ცოდვამ დამწვა, არ მინდა გაჭირვებამ დაჩაგროს. მოვიდეს და იცხოვროს, ოთხი თვალი ოთახი ჩაიბაროს, ერდოთი და ჭერით, მერცხლების ბუდეებით.

მომავალ გაზაფხულზე ეგ იქნება მათი მასპინძელი.

მოხუცმა ამოიხვნეშა და გაჩუმდა.

იოსება პაპას სახლი ორსართულიანია, ორი ოთახი პირველ სართულზეა, ორი — მეორეზე, დიდი აივანი აქვს, სახლი კრამიტითაა დახურული. თითქოს ჩვეულებრივი შენობაა, მაგრამ, ჩემი აზრით, ამისთანა სახლი მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება. ასე ვფიქრობ მე და ასე იფიქრებს ყველა, ვისაც იოსება პაპას ჭერის ქვეშ ერთი საათი მაინც დაუყვია, ვისაც მისი ეზოს მერცხლების ჟივჟივი მოუსმენია. იოსება პაპას სხვენი, აივანი და ჭერი გაჭედილია მერცხლის ბუდეებით. იოსება პაპა ყოველთვის ასე გვეუბნება ხოლმე, მერცხლები არასოდეს ბუდობენ ბოროტი კაცის ჭერქვეშო, მის ეზოზედაც არ გადაიფრენენო.

იოსება პაპას ძალიან უყვარს მერცხლები... ახლა კი გადაუწყვეტია, — მომავალ გაზაფხულზე გელა იყოს მათი მასპინძელიო.

— შვილო გულად! — ისევ მეძახის იოსება პაპა, — მოიტანე აქ, ანდერძზე ხელი მოვაწერო.

ანდერძსა და კალამს ვაწვდი. გაჭირვებით აწერს ხელს და ხვნეშით მეუბნება:

— ეს ანდერძი არ დაგეკარგოს, აი, იქ, პატარა უჯრაში ჩადე, — ხელით მანიშნებს კარადისაკენ, — არავის უთხრა, სანამ... სანამ ღვთის ნება აღსრულდებოდეს ჩემს თავზე, მერე კი საბჭოს თავმჯდომარეს მიუტანე და განუცხადე ჩემი სურვილი.

ანდერძი კარადის პატარა უჯრაში შევინახე.

— ახლა გაიქეცი და ის ჩვენი ექიმი სოლომონი მომგვარე, უთხარი, სიცხე აქვს და წელკავმა ისევ გაუხსენა- თქო.

საექიმო პუნქტში მითხრეს, სოლომონი გამოძახებაზე წავიდაო. გაღმა უბანში კითხვა-კითხვით ვპოულობ, მომყავს.

— რა მოგივიდა, იოსება? — ოთახში შემოსვლისთანავე იძახის სოლომონი, — მიქელამ ხომ არ დაგიბრიყვა?

იოსება პაპა გამოცოცხლდა:

— რა მომივიდა და, გატყობ, მშიერი ხარ, კბილალესილი დაიარები. ახში ჩემი ქელეხიც უნდა ჭამო და ჩემი სულის სახსენებელიც გადაყლურწო.

— რამდენს მიბარებ, რამდენ ჭიქაზე ავიდე?—იცინის სოლომონი, პატარა ულვაშებს აცმაცუნებს, წვრილ თვალებს აკვესებს.

— ცხრამეტ ჭიქაზე ნაკლები არ გამაგონო!

— აგაშენა ღმერთმა! — ილოცება სოლომონი. — აბა, ახლა სიცხე გაიზომე! — აწვდის თერმომეტრს.

ათიოდე წუთი კვლავ ხუმრობაში გალიეს. იოსება პაპა უფრო გამხნევდა.

— მომეცი თერმომეტრი! — ეუბნება სოლომონი. იოსება პაპა აწვდის თერმომეტრს, სოლომონი ხითხითით ამბობს:

— მეგონა, მართლა სულის სახსენებელი გჭირდა. ოცდათვრამეტნახევარი გაქვს სიცხე. ახლა ერთ ნემსს დაგარჭობ მაგ ბებერ ძვლებზე, ტაბლეტებსაც გადაგაყლაპებ და სიცხე და წელკავი გაზაფხულის ნიავივით გაგივლის.

— ნემსი არ გამაგონო! — ხელებს ასავსავებს იოსება პაპა.

— მაშინ საავადმყოფოში წაგიყვან! — იმუქრება სოლომონი.

იოსება პაპას საავადმყოფო ჭირივით ეზარება, არასოდეს წოლილა იქ.

— კარგი, ჯანი გავარდეს, გამიკეთე ნემსი!

ნემსის გაკეთებამ იოსება პაპას ოხვრაში და სოლომონის ოხუნჯობაში ჩაიარა.

— არაფრისა მეშინია ისე, როგორც ამ დაწყევლილი ნემსისა! — ამბობს იოსება პაპა და სოლომონის მიერ მიწვდილ ტაბლეტებს ყლაპავს.

— გაუნძრევლად უნდა იწვე, საბანი არ გადაიხადო, ოფლი მოგივა



ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიცხეც გამოგინელდება! — არიგებს სოლომონი.

ეზოში ხმაური გაისმა. ბიჭები მოვიდნენ, გაეგოთ იოსება პაპას ავადმყოფობა.

— ა, რა მოგკლავს შენ, აი შენი ჭირისუფლები! — ხელს იშვერს ბიჭებისაკენ სოლომონი.

— გულად, სკამები მოართვი! — მეუბნება იოსება პაპა. — აქეთ მობრძანდით, შვილებო, ფანჯარასთან დაბრძანდით! — ეპატიჟება მოხუცი უხმოდ მდგარ ბიჭებს.

ბიჭები ზოგი ტახტზე ჩამოჯდა, ზოგი სკამზე, ზოგიც ფეხზე დგას. ყველას ნაღვლიანი თვალები აქვს.

— ამოიღეთ ხმა, რამ ჩაგიგდოთ ენა, პანაშვიდზე ხომ არა ხართ! — გვიცაცხანებს სოლომონი.

— იოსება სად არის, რატომ არ გამომხედა კარში? — უცებ მოისმის გარედან.

კარში თევდორე პაპა აისვეტა, იღლიაში შოთი პურები ამოუჩრია, ორივე ხელში დიდი თასი უჭირავს, რომელშიაც მოხარშული დედალი და ქადები აწყვია.

— ადე, ბებერო, რა დროს წოლაა, შენს ეზოში ბარტყები ფრენას სწავლობენ, შეხედე, შეხედე! — ორივე კარს აღებს თევდორე პაპა.

— უკვე დროა, თევდორე, გული მიწუხდა, დაფრენას აგვიანებენ-მეთქი. სადაცაა აგვისტო მიიწურება, თბილ ქვეყნებისაკენ აიღებენ გეზს და თუ ახლავე ფრთები არ დაიმაგრეს, გაუჭირდებათ გადაფრენა, — ამბობს იოსება პაპა და გაღებულ კარებში იყურება. — წინა ფანჯრებიც გააღეთ, ბიჭებო, შემახედეთ, ეგ დალოცვილები როგორ იდგამენ ჩემს ეზოში ფეხს...

...იოსება პაპასთან ყოველდღე ვართ ბიჭები. ექიმიც ხშირად მოდის, მეზობლებიც არ ივიწყებენ და მოხუციც ნელ-ნელა იწყებს გამოჯანმრთელებას.

ერთხელ, გვიან ღამით, დამშვიდობებისას იოსება პაპა მაფრთხილებს:

— ანდერძი არ დაივიწყო, ხომ გახსოვს, სად შეინახე!

მე თავს ვუქნევ და ღამე მშვიდობისას ვუსურვებ.

•

პირველი სექტემბერია. სკოლისაკენ მიეშურებიან გოგონები, ბიჭები, მასწავლებლები, მშობლები... ყველანი ეზოში შეჯარიდნენ, ისმის მისალოცი სიტყვები. მერე სკოლის ზარი წკრიალებს და იწყება გაკვეთილები.

ბოლო გაკვეთილი შალვა მასწავლებლისა გვქონდა. მას უკვე სცოდნია, რომ მისი კლასიდან დღეს ერთი მოსწავლე არ გამოცხადდა.

— სად არის გელა? — კლასში შემოსვლისთანავე იკითხა.

ყველანი ვდუმდით, არ ვიცოდით რა გვეპასუხნა.

შალვა მასწავლებელმა თვალი მოავლო მთელ კლასს და მე მკითხა:

— რატომ არ გამოცხადდა გელა?

— გელამ სახერხ ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

— აკი დროებით ვიმუშავებო? მომატყუა? გადაეცი, რომ ხვალ აუცილებლად მოვიდეს სკოლაში! — შალვა მასწავლებელმა მეტი აღარაფერი თქვა და ახალი მასალის ახსნას შეუდგა. გაკვეთილის დასასრულს გვითხრა:

— კლასის მამასახლისი უნდა ავირჩიოთ. ვის დაასახელებთ?

— კლასის მამასახლისად გულად იაგანაშვილი იყოს! — თქვა ავთომ. მთელმა კლასმა კვერი დაუკრა.

მე უარი ვთქვი, მაგრამ არ მომეშვნენ. ერთი სიტყვით. ამირჩიეს მამასახლისად.

პირველ ხანებში არ ვიცოდი რა

გამეხადა ჩემი კლასის მსჯელობის საგნად. გადავწყვიტე გელას საკითხით დამეწყო. გელა, ეტყობოდა, სწავლისათვის თავის დანებებას აპირებდა. ამაში ერთმა ამბავმა დამარწმუნა.

სწავლის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გელა სოფლის ბოლოს სარწყავი არხის საგუბართან ვნახე, ასლანის „ვოლგას" რეცხავდა. მე ბიჭებთან ერთად ვიყავი, საზამთრო გვინდოდა ბაღიდან წაგვეღო. ველოდებოდით, გიგა ძია როდის დაგვიკრეფდა. ასლანს უკვე აერჩია ვეებერთელა საზამთროები, ორი ცალი გაეჭრა და სეირანთან ერთად მადიანად შეექცეოდა. გავბრაზდი, გელას რომ მხოლოდ ისე უყურებდნენ, როგორც მათ მოსამსახურეს. და როცა გიგა ძიამ საზამთროები გამოგვიტანა და გვითხრა — ყელი ჩაიგემრიელეთო, ერთი საზამთრო დავიიღლიავე და გელასთან მივედი. ბიჭს ძალიან გაუხარდა. მანქანა უკვე გარეცხილი ჰქონდა, ხელ-პირი დაიბანა და საზამთროს ჭამა დავიწყეთ.

— გელა, — ვუთხარი მე, — არ მოგწყინდა ამ მანქანის რეცხვა?

— არა! — თავი გააქნია და საზამთროს ქერქი შორს ისროლა, ახალ ნაჭერს დასწვდა და სწრაფად გაათავა ისიც, გეგონება, უკან ვინმე მოსდევსო. ჭამის დროს სულ ასლანისაკენ იყურებოდა, ალბათ იმაზე ფიქრობდა, ასლანი დამიძახებსო. გელას საქციელში დავინახე შიშის, მორიდების თუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მალულად მოქმედების მსგავსი რამ, რაც არასოდეს არ შემიმჩნევია მისთვის. საზამთროს ისე ჭამდა, თითქოს ნაქურდალი ყოფილიყოს. ძალიან შემეცოდა.

რამდენი ხანია ჯიბით ვატარებდი მისთვის გადასაცემ საჩუქარს. მაშინ, როცა მან დაბადების დღეზე დამპატიჟა, ხელცარიელი მივედი, ამიტომ სულ იმას ვფიქრობდი, რა მეყიდა საჩუქრად, იმ დღის მოსაგონებლად. ბოლოს გადავწყვიტე მაჯის საათი მეჩუქებინა. პაპის ნაჩუქარი ფულიანი ყულაბა გავტეხე, მაღაზიაში ოცდაორმანეთიანი საათი ვიყიდე. მაგრამ გელა ვერა და ვერ დავიმარტოხელე. როგორც იქნა, ახლა მომეცა ამის საშუალება. ამოვიღე ჯიბიდან საათი და გავუწოდე.

— გელა, თუ ამხანაგად მიგაჩნივარ და ოდნავ მაინც გიყვარვარ, ეს საათი აიღე, ზედ წარწერა აქვს ვაკეთებული — თხუთმეტი წლის შესრულებას გილოცავ.

გელამ კარგა ხანს მიყურა, მოკუმული ტუჩები გახსნა და მითხრა:

— გმადლობ, გულად!

საათი გამომართვა, ხელისგულზე დაიდო, შევატყვე, გაუხარდა.

— ხელზე გაიკეთე! — ვუთხარი.

გელამ აცახცახებული თითებით ძლივს შეიკრა სამაჯური...

— გულად, თუ ბიჭი ვარ, გადაგიხდი პატივისცემას. სულ ასე ხომ არ ვიქნები, მანქანაც მექნება და ასლანზე უფრო დიდ სახლსაც ავიშენებ, აი, შენ ნახავ!

— რასაკვირველია, ასე იქნება, გელა. ყველანი დიდ სახლებს ავიშენებთ, მაღალჭერიანს, ფართოაივნიანს, ოღონდ უნდა ვისწავლოთ. ასე, არ გვეუბნება შალვა მასწავლებელი? — ვუთხარი ეს და დაველოდე როდის ასწევდა ძირს დახრილ თავს.

— მაგისთვის სწავლა მაინცდამაინც არ არის საჭირო! — თქვა გელამ და ქვეშ-ქვეშ გამომხედა.

— რა თქვი?

— ვიცი, არ დამეთანხმები, მაგრამ ასეა. ასლანი სულ ასე მეუბნება: თუ მე მომყვები, ყველაზე დიდი მასწავლებელი მე ვიქნები შენთვისო. მეც მასწავლიდნენ სკოლაში, რასაც შენ გასწავლიან, მაგრამ იმათ ჭკუაზე რომ წავსულიყავი, დღეს არც მანქანა მექნებოდა და არც ამოდენა სახლიო.

— განა მარტო ასლანს აქვს ჩვენს სოფელში მანქანა და დიდი სახლი? — შევეკამათე. — არა ხარ მართალი, გელა. წინათ ასე არ ფიქრობდი. ასლანს არ შეარჩენენ, რასაც კადრულობსო, ასე ამბობს თევდორე პაპა.

— ასლანის მომრევი ქვეყანაზე კაცი არ არის! — მტკიცედ მითხრა გელამ.

— არის! — ავენთე მე.

— ვინ? — თვალი თვალში გამიყარა გელამ.

ამ დროს ასლანის ხმა მოგვწვდა:

— გელა, მანქანის რეცხვას თუ მორჩი, ეს საზამთროები წაიღე და უკანა საჯდომზე დააწყვე!

იმ დღიდან სულ იმაზე ვფიქრობდი, ისეთი კაცი გავმხდარიყავი, რომ ასლანს მოვრევოდი და გელას თვალწინ გამებიაბრუებინა იგი.

არ გამკვირვებია, რომ გელა პირველ სექტემბერს არ გამოცხადდა სკოლაში...

მეტი განსჯისა და ფიქრის დრო აღარ იყო. დღეები სწრაფად გადიოდნენ, გელა კი კვლავინდებურად არ ეკარებოდა სკოლას. ბოლოს ავდექი და შალვა მასწავლებელს ვთხოვე, მოსწავლეებისა და მშობლების გაერთიანებული კრება მოვიწვიოთ-მეთქი. დამეთანხმა. დაინიშნა კრების მოწვევის დღე. მე ერთერ დღიდას გაფრთხილება დამევალა, შალვა მასწავლებელი კი გელასთან სახერხ ქარხანაში თვითონ წავიდა.

დასასრული შემდეგ ნომერში



იმ დღეს უჩვეულოდ ახმიანდა გეგუთის ისტორიული ციხე-დარბაზის შემოგარენი. მზე უკვე დასავლეთისკენ იყო გადახრილი, როცა მის ეზოში პიონერებით სავსე რამდენიმე ავტომანქანა შემოვიდა.

ბავშვები ჟივილ-ხივილით მოედვნენ არემარეს, შემოირბინეს ციხე-დარბაზის ყველა კუთხე-კუნჭული, მერე ისტორიის მასწავლებლის ირგვლივ შეგროვდნენ და სმენად იქცნენ.

— თქვენ უთუოდ გსმენიათ, ბავშვებო, რომ ხალხი ამ ციხე-დარბაზის აგებას თამარ მეფეს მიაწერს. თამარის მეფობის ეპოქა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ცნობილია, როგორც ერის მატერიალური და სულიერი ცხოვრების აყვავების ხანა. ამიტომ არის, რომ ხალხი ყოველივე კარგს, რაც ჩვენში შეიქმნა, თამარის სახელს უკავშირებს... მაგრამ მთლად სწორი არაა. ჩვენს ხალხს სხვა დროსაც ბევრი უშენებია და უკეთებია. ისტორიული საბუთები მეტყველებენ, რომ გეგუთის ციხე-დარბაზიც უფრო ადრე, მეთერთმეტე საუკუნეში აუგიათ. იმ პერიოდში ქუთაისი საქართველოს დედაქალაქი იყო და ერის მესვეურებს გეგუთი თავიანთ საზაფხულო რეზიდენციად უქცევიათ.

„ნუთუ მეფეებმა უკეთესი ადგილი ვერ გამონახეს, რაღა ეს გადახრუკული ველი აირჩიეს?“ — უნებლიეთ გაიფიქრა ბავშვებს შორის მდგომმა გეგუთის საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლემ ნუგზარ ხუხუნაშვილმა.

მასწავლებელი კი, თითქოსდა ნუგზარის ფიქრის პასუხად, განაგრძობდა:

— აქ, ამ ველზე, გეგუთელები საგვალავს რომ უწოდებენ და ზაფხულობით მზე წვავს ყველაფერს, წინათ მუხის უსიერი ტევრი ყოფილა, სავსე ნადირ-ფრინველით. ფრინველთა გალობა სმენას ატკბობდა და გულს ახარებდა... ამ ადგილებში ზამთარი თბილი და ზაფხული გრილი იყო... ჰოდა, როგორც დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი წერს, სწორედ ამიტომ აუშენებიათ „მრავალნი პალატნი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა“. შემდეგ ჩვენი სამშობლოს თავზე მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა, ციხე-დარბაზიც, მისი შემოგარენიც იავარიქმნა და ძველი დიდების ნარჩენებიღა შემოგვრჩა. მაგრამ ეს ნაშთებიც ცხადად მეტყველებენ, მშენებლობის რა მაღალი კულტურა ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს.

— ახლა, პატივცემულო მასწავლებელო? — იკითხა ნუგზარის თანასკოლელმა, მეშვიდე კლასის მოსწავლემ ნადია რევიშვილმა.

— ახლა სულ სხვა დროა. მშენებლობის მასშტაბებითა და სამშენებლო ტექნიკით ჩვენს ეპოქას აბა რა შეედრება! დღეს ჩვენ უნდა შევხვდეთ მოწინავე ჰიდრომშენებლებს — ძმებს ზარნაძეებს. ისინი ბევრ საინტერესოს გვიამბობენ დიდებულ მშენებლობასა და მშენებლებზე. ხოლო სანამ ისინი მოვლენ, მოკლედ გეტყვით, როგორ გახდნენ ისინი საქვეყნოდ სახელგანთქმული ადამიანები.

თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის მცხოვრებ ზაურ ზარნაძეს ბავშვობიდანვე დიდად აინტერესებდა სამშენებლო საქმე. ცეროდენა ბიჭს ხელში მუდამ ქაფჩა და შვეული ეჭირა. ადრიდანვე შენიშნეს მისი ეს გატაცება და ჯერ კიდევ მოზარდს სერიოზული საქმეც მიანდვეს: მეცხრეკლასელმა ბიჭმა საზაფხულო არდადეგების დროს ბრიგადა შექმნა და სოფლის მაღაზიის შენობა ააგო.

# აქაც იანთებს მარადიულობის შუქურა

**გიორგი მესხიშვილი**

ფოტო ვ. ბორისენკოსი



როცა რადიომ ქვეყანას ამცნო ენგურჰესის კომკავშირულ მშენებლობად გამოცხადება, საშუალო სკოლადამთავრებულ, უკვე დავაჟკაცებულ ზაურს გულმა იქითკენ გაუწია. საქართველოს ალკკ თერჯოლის რაიკომის საგზურით წავიდა გიგანტის მშენებლობაზე.

მოწინავე ახალგაზრდა მუშა ერთ წელიწადში დამკვრელური კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი გახდა, მის საქმიანობაზე პრესა, რადიო, ტელევიზია ალაპარაკდა.

ზაურის კვალს მომდევნო ძმებიც მიჰყვნენ — ვახტანგი, ავთანდილი, ამირანი.

# «კომკავშირული ორწლედი» მოქმედებს

ძმებმა თავდადებული შრომით ენ-გურჰესის მრავალათასიანი კოლექტივის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს, ხოლო მკერდი მთავრობის სხვადასხვა ჯილდოებით დაიმშვენეს.

თითქმის ორი წელი გავიდა, რაც ძმები აქვე, ამ უზარმაზარი მინდვრის დასასრულს, ეგრეთ წოდებულ ვარციხეჰესის მშენებლობაზე ჩვეული მუყაითობით შრომობენ, ზაურის ბრიგადა კი მოწინავეთა რიგებშია და კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელს ატარებს...

ციხე-დარბაზის ჭიშკართან ავტომანქანა გაჩერდა. ეზოში შემოვიდა მზემოკიდებული ოთხი ვაჟკაცი... მათ პატივსაცემად პიონერულმა საყვირებმა დასჭექეს.

კვლავ გაისმა საყვირების ხმა და პიონერთა მწკრივს ოთხი გოგო-ბიჭი გამოეყო. ტრიბუნასთან მიირბინეს და ტაშის გრიალში ძმებს ზარნაძეებს პიონერული ყელსახვევები გაუკეთეს.

პირველად სიტყვა ზაურ ზარნაძემ აიღო. მან საინტერესოდ ილაპარაკა ვარციხეჰესის მშენებლობაზე: რიონის გაღმა-გამოღმა მდებარე სოფლების—ვარციხისა და გეგუთის სანახების შესაყარზე კაშხალი აიგება და მდინარე გადაიხიდება; აი იქ აშენდება პირველი ჰიდროელექტროსადგური. წყლის ვარდნის სიმაღლე 14 მეტრი იქნება, წყლის გამტარი უზარმაზარი არხის სიგრძე კი—28 კილომეტრი. არხი რიონის ძველ კალაპოტს მარჯვენა მხრიდან გასდევს, სოფლების — გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის და საყულიის სანახებს გაივლის და სოფელ ბაშთან ძველ კალაპოტს შეუერთდება. არხზე ოთხი ჰიდროელექტროსადგური აიგება. თითოეული მათგანის საპროექტო სიმძლავრე 44 ათასი კილოვატია, ესე იგი ოთხივეს სიმძლავრე 176 ათასი კილოვატს უდრის. ეს მაშინ, როცა რიონჰესის საპროექტო სიმძლავრე 48 ათასი კილოვატია, გუმათჰესის ორივე ელსადგურისა კი — 66 ათასი. როგორც ვხედავთ, ვარციხეჰესი ერთ-ერთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური იქნება რესპუბლიკაში.

ვარციხეჰესის მშენებლობა ბევრ სხვასაც ითვალისწინებს. არხს გასწვრივ მთელ სიგრძეზე გასდევს ფართო, კეთილმოწყობილი სამანქანო გზა. უკვე მიმდინარეობს ამ გზის რეკონსტრუქცია-გაფართოება ქალაქ ქუთაისამდე. პირველი ჰიდროელექტროსადგურის ხელმარცხნივ 50 ჰექტარზე მოეწყობა ხელოვნური თევზსაშენი ტბა. გამაგრდება რიონის ძველი კალაპოტიც, რათა წყალდიდობისას წყალმა არ წალეკოს რიონის მარჯვენა ნაპირის სანახები.

— რომანტიკული და საინტერესოა ჩვენი პროფესია, — თქვა დასასრულს ზაურმა. — ხშირად მიდიხარ მიუვალ კლდე-ღრეში ან ოდითგანვე მწირ ადგილებში, მიდიხარ და პირველი დაარტყამ ბარს იმის შეგნებით, რომ სწორედ აქ იმალება უდიდესი სიმდიდრე, რომელიც მენისთანების შრომით მალე ხალხის სამსახურში ჩადგება. გაივლის ხანი, გაშენდება კეთილმოწყობილი დაბა, აღიმართება უზარმაზარი კაშხალები, გაიჭრება გვირაბები, იშხუვლებს წყალი და აინთება მარადუქრობი შუქურა. შენ კი ვალმოხდილი დატოვებ ამ ადგილს, გეზს სხვა ობიექტისაკენ აიღებ...

დამთავრდა შეხვედრა. გოგო-ბიჭები პიონერული სიმღერით წავიდნენ შინ.





**სურათებზე მარცხნიდან მარჯვნივ:**

**— ამწეს საიმედოდ უნდა მოახვიო გვარლი,—უხსნის ბავშვებს ზ. ზარნაძე.**

**აუ, რამდენი მიწის გადატანა შეძლებია ამ ექსკავატორს!**

**ვინ იცის, იქნებ რამდენიმე წლის შემდეგ, ეს პატარა ბიჭუნა, ასეთი ხალისით რომ იქნევს ხელს უზარმაზარი ექსკავატორიდან, თვითონ იქნეს მისი მმართველი.**

შეხვედრის მონაწილეთა ერთი ნაწილი მეორე დღეს პიონერთა ოთახში შეიკრიბა. ყველანი გუშინდელ შთაბეჭდილებაზე მსჯელობდნენ, კამათობდნენ...

ნუგზარი განზე იდგა, ლაპარაკში არ ერეოდა.

— შენ რაღაც უგუნებოდ ხარ. რა გაწუხებს, ნუგზარ? — შეეკითხა თანაკლასელი, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მარინე გიგიაძე.

— ხომ იცით, ნათქვამს ნანახი სჯობს! ჰოდა, მშენებლობა დავათვალიეროთ.

— მართალია, მოდით ექსკურსია მოვაწყოთ. — დაეთანხმა ოლეგ ამაღლობელი.

— ექსკურსია კი არა, შაბათობა მოვაწყოთ და ჩვენი წვლილიც შევიტანოთ მშენებლობაში.

— იქ რა უნდა გავაკეთოთ? — ეჭვი გამოთქვა თამარ ჩოგავაძემ, — ექსკავატორებს ავამუშავებთ თუ თვითმცლელ ავტომანქანებს!

— საჩვენო საქმე იქაც გამოჩნდება, —თქვა მარინემ. — მთავარია მონდომება.

— ფოტოსურათებიც გადავიღოთ და ამ ოთახში სტენდი მოვაწყოთ,— გამოთქვა სურვილი ნადია რევიშვილმა.

— თქვენი თაოსნობა მოსაწონია. დღესვე მოველაპარაკები დირექტორის მოადგილეს პატივცემულ მედეა კილაძეს. — დაჰპირდა ბავშვებს უფროსი პიონერხელმძღვანელი მაყვალა ბოდიკია.

...გეგუთის საშუალო სკოლის პიონერები დილაადრიან ჩავიდნენ ვარციხის მშენებელთა დაბაში და დროის მცირე მონაკვეთში — ერთ დღეში ბევრი რამ გააკეთეს!

წინათ წყალდიდობისას ამ ადგილს მდინარე რიონი ფარავდა, დარჩენილი წყლის უზარმაზარი გუბეები კი ჭაობდებოდა... ახლა მშენებლებს რაიონის მარჯვენა ნაპირზე უზარმაზარი მიწაყრილის კაშხალი გაუკეთებიათ და თავაწყვეტილი მდინარე სამუდამოდ აულაგმავთ... მერე ღარივით სწორი, მოასფალტებული ქუჩები გაუყვანიათ, კაპიტალური საცხოვრებელი სახლები, კეთილმოწყობილი სასადილოები, კლუბი, საბავშვო ბაღი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი აუგიათ. კვლავაც გრძელდება დაბის შენება და კეთილმოწყობა. საფუძველი ეყრება ახალ საცხოვრებელ კორპუსებს და საშუალო სკოლის შენობას.

ბავშვები დაფუსფუსებდნენ დაბის ქუჩებსა და ეზოებში, აგროვებდნენ ჯართს, სამშენებლო მასალების ნარჩენებისაგან წმენდდნენ მიდამოს... მალე მათ რიგებს შეემატნენ „ძველი ნაცნობები" — საპატიო პიონერები — ძმები ზარნაძეები.

როცა საცხოვრებელ დაბაში სამუშაოს მორჩნენ, პიონერები რიონის მარჯვენა ნაპირზე მიწაყრილის კაშხალზე ავიდნენ. აქედან ჩანს ჰესის სამშენებლო უბნები: №1 გვირაბის უკვე დამთავრებული უზარმაზარი ქვაბული; №1 და №2 წყალგამყვანი არხის დამთავრებული ობიექტები... სამშენებლო უბნებზე განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ თვითმცლელები, ღუღუნებდნენ ექსკავატორები...

დამთავრდა სამუშაო დღე. ერთად წავიდნენ შინ ნუგზარ ხუხუნაშვილი, ნადია რევიშვილი, მარინე გიგიაძე, თამარ ჩოგოვაძე, ოლეგ ამაღლობელი და სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლიანა კუხიანიძე.

— ნახე, ნადო, რამოდენა ექსკავატორი იყო? ასეთი ჯერ არსად მინახავს. — უთხრა ნადიას ოლეგმა.

— ვნახე და თვალებიც გამიფართოვდა, — სიგრძე სამოცდათვრამეტი მეტრი ჰქონია; თორმეტი კაცი ემსახურება.

— ერთი ტორის დარტყმით იმდენი მიწა ამოიღო, უზარმაზარ თვითმცლელ ავტომანქანაშიც არ ჩაეტია, — ჩაერია საუბარში მარინე.

— ასეთი ექსკავატორი მხოლოდ ერთი ყოფილა საქართველოში. ზაურ ზარნაძემ მითხრა — შეუცვლელია ვაკე ადგილებში არხის გასაყვანადო. თურმე ერთ ჯერზე ათ კუბმეტრ მიწას იღებს.

— მშენებლები კმაყოფილი არიან დღევანდელი ჩვენი საქმიანობით, — თქვა ლიანამ. — მშენებლობის პარტორგანიზაციის მდივანი გენო ბიბილაია ჩვენს დირექტორს ეუბნებოდა: კარგი ბავშვები არიან, მშვენივრად მოგვეხმარნენ. ჰოდა, ჩვენც განზრახული გვაქვს სკოლას შეფობა გავუწიოთო.

— რა კარგი იქნება! — სიხარულით წამოიძახა მარინემ. — იქნებ ფრენბურთის მოედანი მოგვიასფალტონ.

— ვფიქრობ, ყველაფერს გაგვიკეთებენ, მაგრამ ჩვენც რაღაც ახალი უნდა მოვიფიქროთ.

— მე მაქვს ერთი წინადადება, — თქვა ნადიამ, — მშენებლობის თემატიკაზე სპეციალური კონცერტი მოვამზადოთ და მათ კლუბში ჩავატაროთ.

— კარგი იქნება. სხვებს არაფერი მოგიფიქრებიათ?

მცირე დუმილის შემდეგ ოლეგის ხმა გაისმა:

— მეც მაქვს ერთი ჩანაფიქრი.

— თქვი.

— ხეივანი გავაშენოთ.

— ხეივანი?..

— ჰო. მშენებელთა დაბაში ნაყოფიანი ხეხილი დავრგათ. ნერგებს ვიშოვით. ცოტა ჩვენც გვაქვს სკოლაში.

— კარგი იქნება! — წამოიძახა ნუგზარმა. — გავაშენოთ და იქ პიონერული „მწვანე საგუშაგოც" შევქმნათ.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — თქვა ლიანამ. — თქვენი წინადადება მართლაც კარგია. ყველა მოიწონებს.

...მიაბიჯებდა შინისაკენ ნუგზარ ხუხუნაშვილი და გუნებაში ზაურ ზარნაძის ნათქვამი უტრიალებდა: მშენებლები მიცემულ სიტყვას პირნათლად შეასრულებენ და ვარციხეჰესიც დროულად ჩადგება მწყობრში.. და ხედავდა, თვალნათლივ ხედავდა ნუგზარი, თუ როგორ აშრიალებდა ნიავი პიონერების მიერ დარგული და სათუთად მოვლილი ხეების ახალნაყარ ფოთლებს.



**ექსკურსანტები ხარაჩოებზე**

ალექსანდრე
კალანდაძე

# დღეები ბრესტის სიმაგრეში



12733

დიდი სამამულო ომის ბრწყინვალე თავფურცელია ბრესტის გმირი ციხესიმაგრის დამცველთა ბრძოლების ლეგენდარული ეპოპეა. აქ ომის დაწყების პირველ წუთებიდანვე მკაფიოდ გამოვლინდა საბჭოთა ადამიანების უძლეველობა და მამაცობა, მათი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი. მტრის მიერ მუხანათური თავდასხმის შედეგად პირველ დღესვე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვედრილი, გარე სამყაროს მთლიანად მოწყვეტილი, მშიერ-მწყურვალი ერთი მუჭა მებრძოლები თითქმის მთელი თვე უმკლავდებოდნენ გაავთრებულ ფაშისტურ ურდოებს და დიდ ზარალს აყენებდნენ მათ. მტერმა მხოლოდ მას შემდეგ შესძლო სიმაგრის აღება, როცა მის დამცველთა უმეტესობა დახოცილი იყო, ხოლო ცოცხლად დარჩენილები მძიმედ იყვნენ დაჭრილნი... ამ საარაკო ბრძოლების უშუალო მონაწილე გახლდათ ამჟამად ცნობილი მწერალი ალექსანდრე კალანდაძე. მან თავის წიგნში — ,,დღეები ბრესტის სიმაგრეში" გააცოცხლა სახეები სახელოვანი სიკვდილით დაცემული ქართველი მეომრებისა, რომლებმაც საბჭოთა ხალხის სხვა შვილებთან ერთად დიდებით შემოსეს ჩვენი არმიის საბრძოლო დროშები. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

## იმედიანი იერიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი სიმაგრის მთელ ტერიტორიაზე მძვინვარებდა. იმ დღეს ჩრდილოეთ და ცენტრალურ ხერთვისებზე ხელჩართული ბრძოლებიც გაჩაღდა. ჩრდილოეთის სამთაღოვან ალაყაფთან სისხლისმღვრელი შეტაკება დაიწყო. 84-ე პოლკი მედგრად იცავდა ამ მნიშვნელოვან უბანს და ფაშისტებს დიდი ზარალი მიაყენა.

ამავე დროს გერმანელებმა კვლავ შემოუტიეს ტირასპოლის კარიბჭეს, სადაც პირველი წუთიდანვე ცდილობდნენ გაბატონებას. მაშინ ჩვენმა ტყვიამფრქვევებმა ცეცხლის ჯებირებით გზა გადაუღობეს მოიერიშეებს და ისინი იძულებული გახდნენ სხვა უბანზე მოესინჯათ ძალა. ამ რამდენიმე დღეში ფაშისტები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ციტადელს ვერ აიღებდნენ, თუ დასავლეთ კუნძულიდან არ გაარღვევდნენ კარიბჭეს. მოულოდნელი თავდასხმით მოპოვებული წარმატებები მტერს ხელიდან ეცლებოდა. ჩვენ კი ახალ-ახალ პოზიციებს ვეუფლებოდით. მოწინააღმდეგეს გადაეწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ჩარხი თავისკენ შემოებრუნებინა.

ამიტომ გაგვიკვირდა, ნაშუადღევს მზვერავებმა რომ გვაცნობეს — გერმანელები ციხესიმაგრეს ტოვებენო.

სარდაფიდანაც შევამჩნიეთ ეს.

აქამდე ჩუმად ჩასაფრებული მტრის დანაყოფები თითქმის აშკარად გარბოდნენ გაღმა. მიდიოდნენ მეავტომატეები, მენაღმეები, საგულდაგულოდ შენიღბული მზვერავებიც კი. ვხედავდით, როგორ გროვდებოდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად, როგორ უახლოვდებოდნენ მუხავეცს. ეს იყო დაბნეული, მოულოდნელი უკანდახევის სურათი. სულ ქვემოთ, რკინიგზის ხიდთანაც შევამჩნიეთ, რომ თავდამსხმელები ნავტიკებით გადადიოდნენ ბუგზე. „მაშ იქიდანაც ემუქრებათ რაღაც საფრთხე!" — ვფიქრობდით ჩვენ. „ყველაფერს ტოვებენ, გარბიან. ჩანს, ვიღაც მოსდევთ".

რაც გულით გვსურს, მუდამ ადვილად ვიჯერებთ. ასე მოხდა ახლაც: ერთ წამში მთელ სარდაფს მოედო აღფრთოვანებული შეძახილები:

— ჩვენები მოდიან, ჩვენები!

— ფაშისტები ალყაშემორტყმულები არიან, საბჭოთა ტანკები მოადგნენ ბუგს!

— გარბის გარეწარი!

— აჰკუწე!

— არ გაუშვათ!..

აზავთდა, აბობოქრდა სარდაფი.

ყველამ იარაღს წამოავლო ხელი. მძიმედ დაჭრილებიც ახმაურდნენ, აყვირდნენ... მომაკვდავნიც კი ფეხზე წამოდგომას ლამობდნენ. აღარავინ ითხოვდა წყალს, აღარ ისმოდა გოდება, მუდარა: „მესროლეთ, ღვთის გულისათვის!“ ყველას უნდოდა სიცოცხლე.

— ჩვენები მოდიან!

— დასცხეთ მტერს!

მთელი სარდაფი ერთ მძლავრ მუშტად შეიკრა. ათასმა ფიქრმა, მოგონებამ და ოცნებამ გაიელვა ერთ წამში. გამარჯვების იმედმა აღგვაფრთოვანა და ეჭვისთვის ერთი ბეწო ადგილიც აღარსად დარჩა. ან ვინ გაბედავდა ამ საზეიმო წუთებში დაეჭვებას! საკუთარი თვალით დანახული ხომ უფრო გვჯეროდა, ვიდრე მოსმენილი ან დაწერილი.

სასწრაფოდ ამოვირბინეთ სარდაფიდან და მუხავეცის ნაპირისაკენ გავქანდით. ყველაზე ძლიერ ჯგუფს გავყევით ტირასპოლის კარიბჭისაკენ. ჩემთან იყვნენ: ასათიანი, პ. აფხაზავა, ა. ჯარიაშვილი, პ. გიბიშვილი, გ. გერასიმენკო და ათობით სხვა მებრძოლი. ზოგს ავტომატი მოემარჯვებინა, ზოგი ხიშტს ალაპლაპებდა, ზოგი ტყვიამფრქვევით მიიწევდა წინ.

სარდაფში დარჩნენ თავდაცვის შტაბი, დაჭრილები და ქალები. პოტაპოვმა ძლივძლივობით მოახერხა სათოფურებთან და ჩასასვლელებთან მეთვალყურეების დატოვება.

ერთი ამოსუნთქვით შემოვუარეთ პირველი ბატალიონის ყაზარმას, გადავირბინეთ შუაგამყოფი ქუჩა, მრგვალ ყაზარმასთან გავედით და მტრის ჩამორჩენილ ნაწილს, ნავში ჩაჯდომას რომ ელოდა, მუხავეცის ნაპირზე მივუსწარით.

ფაშისტების დანახვაზე შევძახეთ:

— ურააა! ააა! ააა!

მრისხანე ყიჟინითა და აელვარებული ხიშტებით შეხდაცემული გერმანელები მდინარეში შეცვივდნენ, მაგრამ ჩვენც ფეხდაფეხ შევყევით და ხელჩართულ ბრძოლაში ამოვჟლიტეთ.

ეს მოხდა თვალის დახამხამებაში. ასე რომ, მეორე ნაპირიდან მტერმა ვერ შეძლო კარიბჭესთან დახელთებული რაზმის გადარჩენა.

შეტაკების შემდეგ ყველანი მუხავეცის ნაპირზე შევგროვდით. რაღაც უცნაურად ვიყავით აღგზნებულნი. იმ სიხარულის მსგავსი რამ არასოდეს განმიცდია.

ანგარიშმიუცემლად ვჩოჩქოლებდით. არ ვიცოდით, რა გვექნა. მაშინდელი ჩვენი განწყობილება და ლაპარაკი ისე მიამიტი იყო, რომ გადმოცემაც მიჭირს.

— გაიხედეთ რკინიგზის ხიდისაკენ! დიდი ამბავია! — ყვიროდა ერთი.

— აფუსფუსდნენ, ერთად გროვდებიან.

— გარბიან... გარბიან...

— ჩანს, სადღაც ახლოს ჩვენებმა ბუგი გადალახეს! ამ ავაზაკებს ეშინიათ, გარემოცვაში არ მოვხვდეთო, და გარბიან.

— ტყუილად კი არ გვემუქრებოდნენ რადიოთი, დაგვნებდითო. ეტყობა, იცოდნენ, რაშიც იყო საქმე და ჩქარობდნენ.

— ესენი უმიზეზოდ არ გაიქცეოდნენ... ურტყამენ ჩვენები, ურტყამენ, ძმაო!..

— დავეწიოთ!

— ჰკა მაგას!

ყველას მოედო წინსვლის, შეტევის დაუოკებელი ცეცხლი.

მტერი აშკარად თავს არიდებდა ბრძოლას. ჩვენი ტყვიამფრქვევების ჯერს ერთი გასროლითაც არ პასუხობდა.

თავდამცველთა ჯგუფები კი ამ დროს მდინარესთან მიიჭრნენ და აფუსფუსდნენ. ყველას უნდოდა მალე გადაეცურა საზღვარი, პირველი შეჭრილიყო მტრის ტერიტორიაზე, იქ შეეგებებოდა ჩვენს ნაწილებს. მაგრამ ტირასპოლის ხიდი ჯერ კიდევ ჩაკეტილი ჰქონდა მტერს და მოწინააღმდეგის ზურგში შეღწევა მხოლოდ ბუგის გადაცურვით შეიძლებოდა. ამიტომ ათობით იარაღშემართულმა მებრძოლმა მდინარეში შეტოპა. ცალ ხელში ავტომატი ეჭირათ, მეორეთი კი ტალღებს მიაპობდნენ.

გარკვევით დავინახეთ, როგორ გადავიდნენ ისინი მტრის მიერ დაპყრობილ ნაპირზე და ბუჩქნარს შეერივნენ.

დარჩენილებმა ათასგვარი შეკითხვები დამაყარეს. ახლა ყველაფერი აინტერესებდათ: რამდენ ხანს გასტანდა ომი, რა ბედი ეწეოდა დამარცხებულ გერმანიას, რა სასჯელს მიიღებდა ასეთი ვერაგული თავდასხმისათვის ჰიტლერი.

სხაპასხუპით ვპასუხობდი ჩემ გვერდით მდგომ შეჭაღარავებულ ბელორუსს, მხარზე ხელს ვუთათუნებდი და სიხარულისაგან ვხარხარებდი, თუმცა სადღაც, სულის სიღრმეში.



ვგრძნობდი, რომ ამ სიცილში იყო რაღაც არაბუნებრივი.

ის იყო კარიბჭეზე იერიშისთვის გავემზადეთ, რომ კვლავ ჩამოინგრა ცა, კვლავ იგრიალა ბუგს გაღმა ნაპირმა და ცეცხლის ტალღა დაეძგერა სიმაგრეს.

გვიანღა მივხვდით, რომ მოწინააღმდეგის სარდლობამ განზრახ გაიყვანა თავისი ნაწილები და ისეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა, თითქოს უკან იხევდა. ამით მან ორი კურდღელი დაიჭირა: ჯერ ერთი, სარდაფიდან ღია ადგილზე გამოგვიტყუა, და მეორეც, სიმაგრის დაბომბვა გაიადვილა.

საქმე ის არის, რომ აქამდე ჩვენი და მტრის პოზიციები ერთმანეთში იყო შეჭრილი და გერმანელებს ეშინოდათ დაბომბვის დროს საკუთარი ნაწილებიც არ დაეზიანებინათ. ახლა, რაკი თავიანთი ძალები წყალგაღმა გაიყვანეს, უფრო მოურიდებლად შეეძლოთ დაებომბათ სიმაგრის ყოველი კუნჭული. ასეთი ხანგრძლივი ცეცხლი აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდათ, რადგან ჩვენი ნაწილების განლაგება მათთვის ბოლომდე ამოუცნობი დარჩა.

მტრის სარდლობა ჩქარობდა. მისი აზრით, სიმაგრისთვის ბრძოლა გაჭიანურდა. გერმანიის ტანკები სწრაფად მიიწევდნენ სმოლენსკ-მოსკოვის მიმართულებით. არმიას, ავიაციას, არტილერიასა და ქვეით ჯარს ახალ-ახალი ძალა ესაჭიროებოდა შეტევის გასავითარებლად და ზურგის გასამაგრებლად. ამიტომ იმ გადამწყვეტ დღეს ბრესტში ავიაციის დამატებითი შენაერთები გამოიწვიეს. ბელორუსიის ფრონტზე მიმავალი უმაღლესი სარდლობის არტილერიის ორი პოლკიც გზიდან დააბრუნეს და დროებით აქ განალაგეს. მტრის გეგმით, უსიამოვნო გარემოცვა ერთი მძლავრი დარტყმით უნდა დამთავრებულიყო.

ციხესიმაგრის ზემოთ ცა შავი სვასტიკებით დაიფარა. სეტყვასავით წამოვიდა მძიმე ბომბები. ეს შემოტევა ჩვენთვის ისევე მოულოდნელი იყო, როგორც პირველი თავდასხმა.

დაფეთებულნი წამოვიშალეთ. თავპირისმტვრევით მივირბინეთ მრგვალ ყაზარმასთან და სარდაფში დაბრუნება ვცადეთ. მაგრამ გზა გადაჭრილი აღმოჩნდა. ფართო ქუჩას მტერი ბომბითა და ყუმბარით ხნავდა, რომ თავშესაფარში არ ჩავემვით და ღია ადგილზე ამოვექლიტეთ. ამიტომ ჭურვები ნამეტნავად ჩვენს პატარა მონაკვეთს ურტყამდა მუხავეცის ნაპირსა და სარდაფს შუა. გზას რომ მივაწყდით, გამუდმებულმა ჩამქეტმა ცეცხლმა პირველი ათეულები ჰაერში აიტაცა და დაფლითა. ღიაცის ქვეშ დარჩენილნი ამას არ ერიდებოდნენ, გადარბოდნენ საბედისწერო გზაზე და უმრავლესობა იქვე იღუპებოდა. მხოლოდ ზოგიერთი ასწრებდა იმ საშინელი სიკვდილის ზღურბლზე გადარბენას, მაგრამ ჩვენ ველარ ვხედავდით, აღწევდნენ თუ არა ისინი სარდაფამდე, რომლის ჩასასვლელები და სათოფურები მტერს განუწყვეტელი ცეცხლით დაეხშო. ორმოებით სავსე გზა მოფენილი იყო ერთმანეთში ათქვეფილი კაცისა და ცხენის ნაფლეთებით.

ფიქრის დრო აღარ იყო, გაუღწეველი გზიდან პირი ვიბრუნეთ და გავიფანტეთ მრგვალი ყაზარმის ნანგრევებში, სადაც საჯინიბოები იყო მოთავსებული.

ამ შენობას არ ჰქონდა ღრმა სარდაფები, ახლა ალაგ-ალაგ სახურავი მთლად გადაგლეჯოდა; აგურის კედლები ზოგან ჩამონგრეულიყო, ზოგან გარღვეულიყო და ყუმბარისა თუ ბომბის ყოველ აფეთქებაზე ტორტმანებდა.

რამდენიმე მებრძოლთან ერთად, რომელთა შორის ხანში შესული ბელორუსი ჯარისკაციც იყო, აზრმიუცემლად ავიჭერი მეორე სართულზე, იქ ნიშისმაგვარ რაღაც ამონაშენს ამოვეფარე და ასე, თითქმის ღიაცის ქვეშ სულგაკმენდილი ვუსმენდი ყუმბარების გაუთავებელ გრუხუნს. რაღაც ალღოთი ვგრძნობდით, რომელი ყუმბარა ან ბომბი დაეცემოდა ჩვენს ყაზარმას, რომელი აფეთქდებოდა გზაზე, რომელი დაანგრევდა კედელს, რომელსაც უმწეოდ ვეკვროდით.

მინდოდა მომეგონებინა ყველაზე ლამაზი, ყველაზე კარგი რამ ჩემი ცხოვრებიდან, მაგრამ არ შემეძლო. მსურდა გამეხსენებინა [illegible] სოფელი, დედა, ძმე[illegible] არ მემორჩილებოდა. „მორჩა“! „მორჩა!“ — ჩამძახოდა იდუმალი ხმა. აღარაფერზე შემეძლო ფიქრი, მხოლოდ უაზროდ ვითვლიდი: ერთი... ორი... სამი... ათი... ასი... რამდენიმე საათი გავიდა ასე, ბომბებისა და ყუმბარების გრიალი წუთითაც არ ცხრებოდა. ახლა უკვე ვეღარც ვითვლიდი... ბელორუსი ჯარისკაცი ჩუმად რაღაცას ბუტბუტებდა.

ვიღაც კი ბუზღუნებდა:

— სიკვდილია ბრძოლაში უკავშიროდ ყოფნა!.. თითქოს ყველაფერს საკუთარი თვალით ხედავ, და მაინც არ იცი, რა ხდება შენს ირგვლივ.

როცა არტილერიის ცეცხლმა მუხავეცის ნაპირიდან ოდნავ წინ გადაინაცვლა, მცირე შვება ვიგრძენით. იმავ წუთს ქვემო სართულზე დაიყვირეს:

— ამხანაგებო! მოძვრებიან!..

აშკარა იყო, ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლს ყველა ვერ მოედრიკა. გრძელი ყაზარმის სხვადასხვა ადგილას შეფარებული წვრილ-წვრილი ჯგუფები თვალყურს ადევნებდნენ მტრის მოძრაობას. მათ შეამჩნიეს, რომ ტირასპოლის ხიდიდან ფაშისტები კოშკურაზე გადმოვიდნენ, მრგვალ ყაზარმას გამოჰყვნენ. გერმანელები ნახანძრალზე მოაბიჯებდნენ, ცეცხლი სულ სიღრმეში გადიოდა და ისინი მის ნაკვალევს მისდევდნენ.

— იერიშზე! — გაისმა ვიღაცის გაფთრებული ხმა.

ფიცხლავ, ყველა კუნჭულიდან გამოცვივდნენ იარაღმომარჯვებული დამცველები, ბურანში მყოფნი მიიწევდნენ ტირასპოლის კარიბჭისაკენ და ყაზარმის ბოლოში კვლავ დაიწყო ჩეხვა, ყვირილი, ტყვიის წივილი, გოდება.

ბომბებისა და ყუმბარების გრიალს ისევ შეერია შემზარავი „აა!“ „ააა!“, „ურააა!“...

მტრის მეავტომატეებმა ვერც ახლა შეძლეს დაეკავებინათ საწყისი პოზიციები საყდარზე იერიშის მისატანად და უკან დაიხიეს. უფრო მეტიც, წინანდელი პოზიციაც დაკარგეს, რადგან მრგვალ ყაზარმას ჩვენ დავეპატრონეთ.

ბომბებისა და ყუმბარების ცეცხლმა ჯერ მუხავეცის ნაპირისაკენ დაიწია და მერე ერთი მოსხლეტით შეწყდა.

გაირინდა შემოგარენი.

სულს, სხეულს გადარჩენის სიხარული დაეუფლა. მაგრამ დიდხანს არ



გაგრძელებულა ასე. მყუდროება გაკვეთა რეპროდუქტორის მჭახე ხმამ:

— თქვენი მდგომარეობა უნუგეშოა. ჩვენმა ჯარებმა ასეული კილომეტრით უკან ჩამოიტოვეს საზღვარი და ძლევამოსილად მიიწევენ მოსკოვისაკენ. თქვენ აღარავის ახსოვხართ. არავინ იცის თქვენი ამბავი. რისთვის იბრძვით, რა მიზანი გაქვთ? განწირულნი ხართ ყველა! ღიად ვტოვებთ ტირასპოლის ხიდს, შეგიძლიათ დაუბრკოლებლივ გადმოირბენა! დრო — ათი წუთი. ვადის გასვლისთანავე განვაახლებთ ცეცხლს: სიმაგრეში არავინ გადარჩება ცოცხალი, უაზროდ ნუ იღუპავთ თავს!..

გულში ახალი ძალით იფეთქა რისხვამ, სიძულვილმა. საკუთარი თავიც მეზიზღებოდა იმ დროს. თავმოყვარეობა მტანჯავდა. ყოველთვის ჩემი თავის დიდი იმედი მქონდა. ოდნავ რომ გავეკეწნწლე ვინმეს — შეგეშინდაო, ცოცხალი ვერ გადამირჩებოდა; ახლა კი თვითონვე ვგრძნობდი, როგორ ამიკანკალდა ქვედა ყბა... მტერი ახლა თითქოს ნიშნს მიგებდა, ჩემი ადამიანური სისუსტით სარგებლობდა. ამ მღვრიე და დაულაგებელმა ფიქრებმა რაღაც უცნაური გრძნობა გამოიწვია. ეს იყო ჯიუტობაც, სიკერპეც, შურისძიების წყურვილიც. ეს იყო სურვილი — დამესაჯა ისიც და ჩემი თავიც. გულში ვიმუქრებოდი: „აბა, მოდი! აბა, შეასრულე შენი მუქარა!“ „ვნახოთ, გავუძლებ თუ არა!“, „შევამოწმოთ, მართლა ჯაბანი ვარ, თუ ეს ძრთოლა უნებური იყო!“, „ვნახოთ, ვინ უფრო ძლიერია, ჩემი ადამიანური სისუსტე თუ მე!“...

გადავხედე ამხანაგებს: კუშტი, ნებაგაუტეხელი, ჯიუტი სახეები ჰქონდათ... ის კი, გადამთიელი, მკაცრად და დამცინავად იმეორებდა: „ვადა ათი წუთი“... თითქმის მაშინვე დაადევნა:

„გავიდა ერთი წუთი!..“

„გავიდა ორი წუთი!..“

„გავიდა სამი წუთი!..“

რა სწრაფად გადის ეს დაწყევლილი დრო. სულ ცოტაც და, ცეცხლი განახლდება, ისევ წამოვა ცეცხლის ნიაღვარი, ისევ ატორტმანდება ყაზარმის დარღვეული კედლები, ისევ შემიკუმშავს გულს სიცოცხლის წადილი. კედლები კი ძლივსღა დგას. ასე მგონია, პირველი აფეთქებისთანავე იგრიალებს და ქვეშ მოგვიყოლებს. სუნთქვა მეკვრის.

„გავიდა ცხრა წუთი!“ — ძლივს მესმის მესაფლავის სატანური სისინი:

„დარჩა ერთი წუთი!..“

ყველანი ტირასპოლის კარებისაკენ წავედით. კედელს მოვეფარეთ და ხიდი ნიშანში ამოვიღეთ. სულ ერთი იყო, საიდან გამოჩნდებოდა ავის მოსურნე — იქიდან აქეთ თუ აქედან იქით.

ხიდზე ჭაჭანება არ იყო. არც იქიდან გადმოდიოდა ვინმე, არც — აქედან.

„დარჩა ნახევარი წუთი!..“ — ერთხელ კიდევ დაისისინა იმედგაცრუებულმა, ზიზღით სავსე გადამთიელმა.

დიქტორის უკანასკნელი სიტყვები ათასობით ბომბმა და ყუმბარამ შემოაცილა სიმაგრეში. კვლავ შეინჯღრა და აზრიალდა შენობა, მაგრამ ჩვენ მოვასწარით ჩრდილოეთისაკენ უკანდახევა.

მტერმა დაპირება შეგვისრულა. მეტი გაბოროტებით დაეცხრა სიმაგრეს.

მართალია, უფრო სუსტად, უფრო შორიდან, მაგრამ მაინც მესმოდა ის შემპარავი შინაგანი ხმა: „ჩამოინგრევა ეს შენობა და ნანგრევებში მოჰყვები! იქნებ, არც მოკვდე ერთბაშად, მაშინ?..“

მტრისადმი ზიზღს, შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას თავისი გაჰქონდა და გულში დაჟინებით ვიმეორებდი: „არა, აქედან არ წავალთ! აქ დავრჩებით!“

განუწყვეტელ ბრძოლაში მიიწურა ის საშინელი დღე. მტერს სიამოვნებდა, რომ მრგვალ ყაზარმაში ამოგვკეტა. სარდაფში აღარ გვიშვებდა. მცირე პაუზის დროსაც, როცა რეპროდუქტორი თავს დაგვჩხაოდა, შუა გამყოფ ქუჩას თვითმფრინავები დარაჯობდნენ. ისინი განუწყვეტლივ სერავდნენ სივრცეს და ერთ კაცსაც რომ გაევლო, ტყვიამფრქვევის კაკანით მისდევდნენ.

მოსაღამოვდა და დაბინდებასთან ერთად დაბომბვაც შესუსტდა. იშვიათად, ნერვების ამშლელად თუ გაიშხუილებდა თითო-ოროლა ყუმბარა ან ნაღმი... მაგრამ ვგრძნობდით, უკვე ვძლიეთ იმდღევანდელი განსაცდელი.

გვიხაროდა, რომ დუშმანისათვის გოჯიც არ დაგვითმია. პირიქით, მათ მიერ დაკავებული პოზიციაც გამოვგლიჯეთ ხელიდან. საერთოდ, საღამოთი მუდამ უფრო იმედიანად ვიყავით, მდგომარეობაც ისე მძიმე აღარ გვეჩვენებოდა და მტერსაც ნიშნს ვუგებდით...

როცა ყუმბარებს თავზე გაყრიან, ფიქრობ, ქვა ქვაზე არ დარჩებაო, მაგრამ დამთავრდება თუ არა ბრძოლა, სიხარულით ამჩნევ, რომ კიდევ რაღაც გადარჩენილა, კიდევ არის სიცოცხლე, კიდევ შეიძლება შერკინება და რაღაც ველური ჟინით გინდა გაახელო მოსისხლე, ასე მოუთმენლად რომ მოელის შენს დაცემას.

დაღამდა. მტრის თვითმფრინავები მაინც დარაჯობდნენ გზაჯვარედინებს.

მრგვალ ყაზარმაში ორმოცამდე მებრძოლი დავრჩით. სხვები ან სარდაფში დაბრუნდნენ, ან ქუჩის გადარბენისას დაიღუპნენ. ზოგიერთმა ბუგი გადასერა, დასავლეთ კუნძულზე გავიდა და აღარ ვიცოდით მათი ამბავი. იქიდან მერეც გვესმოდა კანტიკუნტი სროლა. როგორც ჩანს, მესაზღვრეები კიდევ იბრძოდნენ. შესაძლოა მათ გაღმა გასული ბიჭებიც შეუერთდნენ. ასე რომ, სარდაფი თითქმის ღრმა ზურგში მოექცა.

მრგვალი შენობა ტირასპოლის კარიბჭიდან საბრძოლო მასალის საწყობამდე — მთლიანად დავიკავეთ. გადამწყვეტ უბნებზე გუშაგები დავაყენეთ, რომ მუხავეცისა და ბუგის გამოღმა ნაპირისათვის ეთვალთვალათ.

მოგვიანებით ასათიანი დაუბრუნდა თავის ნაწილს. რამდენიმე ხნის შემდეგ იქიდან გამოგზავნილმა მეკავშირემ თავდაცვის შტაბის ბრძანება გადმოგვცა, რომ მრგვალ ყაზარმაში დავრჩენილიყავით, მდინარის ნაპირი და ტირასპოლის კარიბჭე დაგვეცვა, ხიდი ჩაგვეკეტა.

გამთენიისას უფროსმა ლეიტენანტმა გორიაჩიმ გამომიძახა. ქუჩა გადავირბინე და სარდაფში ჩავედი. ერთი შეხედვით ეტყობოდა, გარნიზონი განახევრებულიყო.

— თავდაცვა შეუძლებელი გახდება, თუ სარდაფებში ჩავიკეტებით, — თქვა გორიაჩიმ. — ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მტერი სარდაფებამდე არ მოვუშვათ, თორემ გვიანღა იქნება. პოლკის მთელი ტერიტორია ჩვენმა რაზმებმა უნდა დაიკავონ. ზემოთ, შტაბის შენობის ნანგრევებში, სნაიპერები დავაყენეთ: ორი ათეული მოტომექანიზებული ბატალიონის პოზიციებზე გავგზავნეთ; ერთი ოცეული ჩრდილოეთით — სანიტარული ნაწილის უბანზე გამაგრდა. თქვენც უსათუოდ უნდა შეინარჩუნოთ მრგვალი ყაზარმა ტირასპოლის კარიბჭიდან საწყობამდე. ძნელია, მაგრამ უსათუოდ უნდა შეინარჩუნოთ.

— შევინარჩუნებთ! — ვუპასუხე მე.

— თუ აუცილებელია, ერთ ოცეულსაც მოგაშველებთ.

— ჯერჯერობით აუცილებელი არ არის.

— გევალებათ: არ დაუშვათ ბუგზე დესანტის გადმოსხმა, მიზანში ამოიღეთ ტირასპოლის კარები და სარდაფები მუხავეცის მხრიდან დაიცავით. მაშველი ნაწილების იმედი აღარ გვაქვს. ომი, ალბათ დიდხანს გაგრძელდება... ზოგიერთი მოითხოვს, რკალი გავარღვიოთ და სიმაგრიდან გავიდეთ. არ ვიცი, როგორ მოვახერხებთ ამას! — ცოტა იჭვნეულად ჩაილაპარაკა გორიაჩიმ. —მე ვფიქრობ, ჩვენ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე აქ უნდა დავრჩეთ და მტერს რაც შეიძლება მეტი ზარალი მივაყენოთ, შევასუსტოთ მისი შემტევი ნაწილები!.. მაგრამ, შესაძლოა, გარღვევაც განვახორციელოთ... ამიტომ, თუ დრო მოიხელთოთ, ორიოდე სიტყვით აუხსენით მებრძოლებს, როგორ უნდა იმოქმედონ სიმაგრიდან გასვლის შემთხვევაში...

იმ დღეს ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო იქნებოდა. მართალია, არ ვიცოდით, რა ხდებოდა ზურგში, დიდ მიწაზე, მაგრამ ვგრძნობდით, ომი დიდხანს გასტანდა და ჩვენც ხანგრძლივად მოგვიწევდა მტერთან გამკლავება.

ამიტომ, სიმაგრის სხვადასხვა ნაწილებიდან მეთაურები ცენტრალურ სარდაფში შეიკრიბნენ მოსათათბირებლად.

თათბირის მონაწილეებმა დაახასიათეს თავიანთ უბნებზე შექმნილი მდგომარეობა და ამოირჩიეს ერთიანი ხელმძღვანელობა. სიმაგრეში მებრძოლი ნაწილების მეთაურად დაინიშნა 44-ე პოლკის კაპიტანი ზუბაჩევი, ძველი კომუნისტი, სამოქალაქო ომის მონაწილე, პოლიტიკურ დარგში მის მოადგილედ — პოლკის კომისარი ფომინი, ხოლო შტაბის უფროსად — უფროსი ლეიტენანტი სემიონენკო, რომელმაც აფხაზავასთან ერთად გაანადგურა ციტადელში შემოჭრილი მტრის ტანკები.

საშუალო მეთაურებს დაევალათ მეომართა აღრიცხვა და ოცეულებად დაყოფა.

ეს იყო № 1 ბრძანება, ქაღალდის ნახევებზე რომ ჩაწერა ლეიტენანტმა ვინოგრადოვმა. ბრძანების მიზანი იყო ერთიანი ხელმძღვანელობის შექმნა და შეთანხმებული მოქმედების ორგანიზაცია.

თათბირი ბოლომდე აღარ დასცალდათ. როგორც კი დაბომბვა შეწყდა, მტრის მეავტომატენი იერიშზე გადმოვიდნენ და მეთაურებმაც თავიანთ ნაწილებს მიაშურეს.

ბრძოლა გაცხარდა. მდგომარეობა ყოველ წამს იცვლებოდა. საჭირო ხდებოდა ძალთა სახელდახელო გადაჯგუფება.

ბრძანება ვერ შესრულდა, მაგრამ ციტადელის ცენტრში მაინც გარკვეული წესრიგი დამყარდა (ამ ბრძანების ფურცელი ომის შემდეგ სიმაგრის ნანგრევებში იპოვეს).

იმ ღამით წუთით არ მომიხუჭავს თვალი. გულში ათასმა ფიქრმა, ათასმა დავიწყებულმა წვრილმანმა გაიღვიძა. საამო იყო წარსულის ყოველი მოგონება, იმ მშვიდობიან დღეებში განცდილი ყოველი სიხარულიცა და წყენაც...

მდინარეს დრო და დრო პროჟექტორის სინათლე სერავდა.

შუაღამისას ბექობიდან ვიღაც გადაეშვა წყალში. ჩქაფანი გაისმა და მუხავეცმა, ვით სანდო მოწმემ, ხმა გაკმინდა. დაუყოვნებლივ აკაკანდნენ „შმაისერები". ტყვიის სეტყვა გაკაპასებით უტყლაშუნებდა მდინარის ზედაპირს. წყვდიადს ისევ და ისევ კვეთდა ნისლისფერი შუქი, ტყვია ზუზუნით მიჰყვებოდა მას და ტყაპატყუპით ცვიოდა წყალში. ვიღაც მაინც მიაპობს ზვირთებს... იქნებ, გააღწიოს!..

ბურანში გაილია ის უძილო ღამე... სროლა მინელდა. მტერთან ახალი შეტაკების მომასწავებელმა დუმილმა დაისადგურა.

მეომრები გარინდებული დაჰყურებდნენ ტყვიამფრქვევებს.



მხატვარი
ზურაბ
მეძმარიაშვილი.



## გაზაფხული მოდის

**ღილარ ივარდავა**

წკაპ-წკაპ!
წკაპ-წკაპ!
წვეთი ცვივა...
მარტია და ჭირვეულობს ჯერაც.
გაშიშვლებულ ხეებს სცივათ,
სანამ კაბებს მოიქსოვენ ფერადს.
მგალობელი სანამ ხმას და ბგერას
ჩაიწმენდს და ამღერდება გზნებით,
ბაღებისკენ, ყანებისკენ, მჯერა,
გაზაფხული მოდის მწვანე გზებით.
ჩვენკენ მოდის შეუმჩნევლად, ჩუმად,
ჭირხლს და ყინვას თავზე ესხმის რეტი;
მოდის, რათა ტყემალს, ატამს, უნაბს
აუფეთქოს სასიცოცხლო კერტი,
აათრთოლოს, ააჟრჟოლოს ვაზი
და მინდვრებზე ააჭრელოს დიბა.
აქვს გაზაფხულს უდიდესი აზრი,
როცა წვიმით ბაღში მზე პირს იბანს.
როცა მიწას რთავს ათასი ფერი,
როს ნექტარი დააქვს ფუტკრის ნესტარს,
რა სუფთაა სიწკრიალე ბგერის,
ხმა ასეთი ტყეს ვინ მისცა, ნეტა?!
რა სპექტრები,
რა ფერები — მთვრალი
მობარბაცებს მთა, ველი და კორდი.
ყური უგდე და ადევნე თვალი,
შემოქმედი გაზაფხული მოდის.
... წკაპ-წკაპ!
წკაპ-წკაპ!..
წვეთი ცვივა,
ეს ზამთარი ჭირვეულობს ჯერაც,
გაშიშვლებულ ხეებს, ბუჩქებს სცივათ,
სანამ კაბებს მოიქსოვენ ფერადს.



ნიკო კეცხოველი,
აკადემიკოსი

# ცოდნა და შრომა განუყრელია

მეოცე საუკუნემ მრავალ სიკეთესთან ერთად ზოგი რამ საწყენიც მოუტანა ადამიანს. ერთ-ერთი ასეთი საწყენია ის, რომ ადამიანი ბუნებას ნაწილობრივ მაინც დაშორდა.

ზემოთქმული თანაბრად ეხება, როგორც ქალაქს, ასევე სოფელსაც.

სოფელში ბავშვი დილიდან შუადღემდე სკოლაშია. შუადღის შემდეგ შინ გაკვეთილებს სწავლობს. მაგონდება ჩემი და ჩემი ტოლების ბავშვობა: მთელი დღე გარეთ ვიყავით — მინდორში, ტყეში, საძოვარზე, მდინარის რიყეზე, მდინარეში ვბანაობდით, თევზს ვიჭერდით, საქონელს ვაბანავებდით, არხში წყალი გამოგვყავდა...

ასე, ჩვენს უნებურად, ვიძენდით უამრავ ცოდნას: ესა თუ ის მცენარე როდის ამოდიოდა, როდის იშლებოდა, ნაყოფს როდის იბამდა და როგორ მწიფდებოდა; ესა თუ ის ფრინველი როდის მოდიოდა ჩვენში, მწყერი როდის დაიძახებდა თავის „ქვითკირიოს", ან გუგული — „გუგუს", ან მოლაღური „ბიჭო გიოს", როდის ჩაიდგამდა მუხლს ჭეჭილი, როდის დათავთავდებოდა, როდის დატრიალდებოდა ყანაში ნამგალი ან როდის შემოვძახებდით კალოსპირულს...

დღესაც საჭიროა ყოველივე ამის ცოდნა, ადამიანის გული იმ მომენტიდან იხურება, როდესაც ბუნებასთან კავშირს წყვეტს, როდესაც გარემოს საიდუმლოებანი მისთვის გამოუცნობია.

რაა საჭირო რომ ადამიანსა და ბუნებას შორის ეს კონტაქტი არ გაწყდეს? წინათ ბუნებასთან კავშირის აღდგენა სტიქიურად ხდებოდა, დღეს კი ამ საქმის მოგვარებას საგულდაგულო მეცნიერული მიდგომა სჭირდება. ეს მუშაობა და კავშირი ბუნებასთან თავიდანვე სასურველი გზით უნდა წარიმართოს. მართალია, ჩვენი ბავშვი სკოლაში სწავლობს, და დრო თითქოს შეზღუდული აქვს, მაგრამ შესაძლებელია ამ კავშირის ისე აღდგენა, რომ არც სწავლას ევნოს და ბევრი საქმეც გაკეთდეს. ამ კავშირით უფრო გაღრმავდება ის ცოდნა, რომელსაც მოზარდი სკოლაში იძენს.

პირველ რიგში სასურველია სოფლის მეურნეობას ისე დავეხმაროთ, რომ სწავლა არ დაზარალდეს.

ადრე გაზაფხულზე ფრინველთა სახლების დადგმა გვაძლევს ფრინველის ბიოლოგიის შესწავლის სტიმულს. ამასთანავე ასეთი ფრინველის სიმრავლე დიდად დაეხმარება მავნებელთა მოსპობის საქმეს.

სოფლის მეურნეობას დიდ ზარალს აყენებს სხვადასხვა მავნე მწერი (ბლუნძულა, არაფარდი აბრეშუმხვევია და სხვანი) და სოკოვანი დაავადებანი (ნაცარი, ჭრაქი და სხვ.). ამ მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად არსებობს წამლობის წესიც. მაგრამ საჭიროა დროზე შევამჩნიოთ, როდის ჩნდება ესა თუ ის ავადმყოფობა ან მწერი, რათა დროზევე ვუწამლოთ, თორემ შემდეგ უკვე ძნელი იქნება ბრძოლა.

სკოლამ უნდა შექმნას დაკვირვების პუნქტები. საკოლმეურნეო მინდვრები და ბაღ-ვენახები უნდა დაიყოს ნაკვეთებად: ოთხ-რვა ნაკვეთად, ან მეტად. ეს დამოკიდებულია კოლმეურნეობის საერთო ფართობზე. ყოველი ნაკვეთი უნდა ჩაბარდეს დამკვირვებელთა გუნდს (5-10 კაცის შემადგენლობით), რომელმაც ყოველდღე უნდა დაიაროს ნაკვეთი და დააკვირდეს, ხომ არ გამოჩნდა რაიმე მწერი ან მავნე სოკო, თუ ასეთი აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კოლმეურნეობის გამგეობას, აგრონომს, არ მოიშვას სანამ ზომებს არ მიიღებენ. საჭირო ღონისძიებების გატარებაში დამკვირვებელმა გუნდმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა, თუ საჭიროა, მთელი რაზმეულიც უნდა ჩაებას.

ასეთი საგუშაგოების საქმიანობა აუცილებელია საქართველოს ყოველ კუთხეში — დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის ახლოს ციტრუსების ბაღში თუ სიმინდის ყანაში, აღმოსავლეთ საქართველოში — ვენახ-ბაღსა და პურის ყანაში.

ასევე საჭიროა საგუშაგოს შექმნა ტყეშიც, გაზაფხულზევე, რათა ტყის მავნებელი დროზე შენიშნონ; ზაფხულ-შემოდგომაზე კი იმისათვის, რომ თვალყური ადევნონ ტყეში სადმე ხანძარი არ გაჩნდეს. 1974 წელი, განსაკუთრებით შემოდგომა და ზაფხული, გვალვიანი იყო. ტყის ხანძრებმა ჩვენს ტყეებს დიდი ზარალი მიაყენეს, რამდენიმე ათასი ჰექტარი ტყე განადგურდა საგარეჯოს, ჭიათურა-საჩხერის, ბორჯომსა და სხვა რაიონებში.

სოფლის მეურნეობის დიდი მტერია აგრეთვე სარეველა მცენარე. მას, სხვა უბედურებასთან ერთად, ერთი უცნაური ზნეცა სჭირს: ხშირად გაივლის ხუთი-ათი წელიც და მინდორზე სრულიად არ ჩანს ესა თუ ის აბეზარი მცენარე. მაგრამ აი, უცბად მინდორზე იფეთქებს ხან ლურჯი ღიღილო, ხან შვრიუკა, ხან შანგა, ხან ბოლოკა და მოედება ყანას... ასე უცბად იფეთქებს ხოლმე იმიტომ, რომ მისი თესლი მიწაში იყო ჩაბნეული, სადაც იგი ათეული წლების განმავლობაშიც კი სძლებს.

საჭირო იქნება სარეველების წინააღმდეგ მებრძოლთა საგუშაგოების შექმნაც. ისინი ადრე გაზაფხულიდანვე მინდორში თვალყურს ადევნებენ სარეველებისა და კულტურულ მცენარეთა განვითარებას; შეამჩნევენ თუ არა მავნე მცენარის გამოჩენას, აგრონომისა და ბიოლოგიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით უნდა გავიდნენ მინდვრად, ბაღში, ვე-

ნახში, პლანტაციაში და ამომარგლონ სარეველები, რომლებიც ზოგჯერ არათუ ანახევრებენ მოსავალს, არამედ მთლიანადაც სპობენ.

ბუნებას დიდი მოვლა სჭირია, არცერთი მცენარე ტყუილუბრალოდ არ უნდა მოიჭრას, ცხოველი არ უნდა მოიკლას თუ ამას გადაუდებელი საჭიროება არ მოითხოვს. მაშასადამე, ბუნების დაცვაში თვით სკოლამაც უნდა მიიღოს დიდი მონაწილეობა, მან უნდა ჩამოაყალიბოს ბუნების მეგობართა გუნდები, შექმნას ბუნების სამეთვალყურეო საგუშაგოები.

თუ ტყე პატარაა, ათიოდე ჰექტარი, 5-10 კაციანი საგუშაგო ეყოფა, თუ დიდია, რამდენიმე საგუშაგო უნდა გამოიყოს. ბუნების დაცვის გუნდმა დროდადრო უნდა დაიაროს ტყე, თვალყური ადევნოს, უდროო დროს და უნებართვოდ ხომ არავინ ნადირობს, ხომ არ სჭრიან და ჩეხავენ ტყეს. გაზაფხულ-შემოდგომაზე უნდა ითავონ ნატყევარ ადგილას ახალი მცენარეების მოვლადაცვა, რასაკვირველია, მეტყევისა და მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

აი, ასე უნდა შეიქმნას რამდენიმე საგუშაგო. ესენია:

მავნებელთა და დაავადებათა, სარეველა მცენარეთა წინააღმდეგ მებრძოლთა; ტყის მცენარეთა და ბუნების მეგობართა საგუშაგოები.

ერთმა რომელიმე სკოლამ რომ ყველა ასეთი საგუშაგო შექმნას, ეს ძალიან კარგია, მაგრამ შეიძლება დაკმაყოფილდეს ერთი-ორი დარგითაც. მაგალითად, შექმნას და წარმართოს ბუნების მეგობართა საგუშაგოს მუშაობა.

მეორე სკოლას შეიძლება ხელს არ აძლევდეს აქ ჩამოთვლილი დარგები, მაშინ თვითონ უნდა აირჩიოს დარგები და შექმნას მეხილეობის, მეჩაიეობის ან მემინდვრეობის დამხმარე საგუშაგოები.

რაზმეულები და გუნდები ამ დარგების მიხედვით აწარმოებენ დაკვირვებას, გაუწევენ დახმარებას სოფელს.

რაზმეულს ყოველი პუნქტებისათვის უნდა ჰქონდეს დაკვირვებისა და დახმარების წიგნი — დღიური, რომელშიც ჩაიწერება მთელი გუნდის მუშაობა, დაკვირვების მიმდინარეობა და შედეგი, თუ რა დახმარება გაუწია კოლმეურნეობას და ა. შ. ამ დღიურის მიხედვით შეამოწმებენ გუნდები და სკოლები ურთიერთშორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

როგორც ხედავთ, სასარგებლო საქმის გაკეთება შეგიძლიათ და კიდეც უნდა გააკეთოთ!

## მეცნიერების გადაუჭრელი პრობლემები

# დუმილით მოცული გემების საიდუმლო

უდიდესი, შეუცნობი საიდუმლოს შემაძრწუნებელი გრძნობა გეუფლება ხოლმე, როცა გაიგონებ ამბებს ზღვაში მომხდარი კატასტროფების, უკვალოდ გამქრალი გემების, თვითმფრინავებისა თუ მათი ეკიპაჟების შესახებ.



რატომ დაიღუპა, მაგალითად, „ურანგ მედანი“ 1948 წლის თებერვალში? ინგლისისა და ჰოლანდიის რადიოსადგურებმა, მალაკის სრუტეში მყოფმა გემებმა დაიჭირეს უბედურების მაუწყებელი სიგნალები, „SOS, SOS, SOS!“ ამას მოჰყვა: „დაიღუპა ყველა ოფიცერი და კაპიტანი... შესაძლოა, ცოცხალი მეღა ვიყო მარტო...“ ამის შემდეგ დაიწყო გაურკვეველი ტირეებისა და წერტილების სერია, ბოლოს გაისმა: „ვკვდები!“ და ეთერი დადუმდა.

როცა გემზე მაშველები ავიდნენ, ელდა ეცათ: იქ ცოცხალი აღარავინ იყო, კაპიტანი თავის კაიუტაში ეგდო, ოფიცრები საშტურმანოში და სასაჭე განყოფილებაში ეყარნენ. გემი მოფენილი იყო მეზღვაურთა გვამებით. სახე ყველას სიმწრისაგან დამანჭოდა. მომკვდარიყო გემზე მყოფი ძაღლიც. გასაოცარი ისიც იყო, რომ არც ჭრილობა ემჩნეოდა ვინმეს და არც ძალადობის რაიმე ნიშანი.

ამ ამბავმა, რომელიც დეტექტურ, ფანტასტიკურ ისტორიას ჰგავს, მაშინ სათანადო ახსნა ვერ ჰპოვა.

შემდეგ ამოტივტივდა „გრემენ ავენჯერის“ თვითმფრინავების ამბავი. ეს ხუთი თვითმფრინავი 1945 წლის 5 დეკემბერს აფრინდა ფლორიდას შტატის ერთ-ერთი აეროდრომიდან და გეზი ჩრდილო ატლანტიკისაკენ აიღო. აფრენიდან ნახევარი საათი არც კი იყო გასული, ერთ-ერთი თვითმფრინავიდან რადიოგრამა მოვიდა: „რაღაც გვემართება, მიწა არ ჩანს! ვიმეორებ: მიწა არ ჩანს!.. კურსი დავკარგეთ!“ აეროდრომზე ალიაქოთი ატყდა: ვერაფრით ვერ მიმხვდარიყვნენ, როგორ უნდა დაბ-

ნეოლდა გზა ხუთ თვითმფრინავს, და ისიც — მოწმენდილ ამინდში. აეროდრომზე ესმოდათ პილოტების საუბარი ერთმანეთთან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მფრინავები დაბრმავებულიყვნენ, დაბრმავებულიყვნენ იმდენად, რომ მზესაც კი ვეღარ ხედავდნენ. პილოტების შიშით შეძრწუნებული ხმა მალე გაწყდა.

ასობით თვითმფრინავი და გემი ამაოდ დაეძებდა უკვალოდ დაკარგულთ, კატასტროფის ვერავითარი ნიშანი ვერ იპოვეს.

ასეთივე ფრიად უცნაური ამბავი **1955** წელსაც მოხდა. წყნარ ოკეანეში ნახევრად ჩაძირულ გემიდან უკვალოდ გაქრა 25 კაცი. მაშველი მოწყობილობა კი გემზე ხელუხლებელი იყო.

**1969** წელს „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა ცნობა: „აზორის კუნძულებთან ამ დღეებში იპოვეს ორი უკაცრიელი იახტა, ზედ სურსათი საკმაო იყო, სასმელი წყალიც და მაშველი მოწყობილობაც ხელუხლებელი...“ სად გაქრა ეკიპაჟი?

როგორც ზემოთ მოთხრობილ შემთხვევებს, ვერც ამ ტრაგიკულ ამბავს მოუძებნეს ახსნა.

არადა, მეცნიერებამ ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში მიაგნო ერთ საინტერესო მოვლენას. ლაპარაკია იმ პირველ ნაბიჯებზე, აკადემიკოსმა შულეიკინმა რომ გადადგა — შტორმის ზონაში მან ინფრაბგერითი[1] რხევა აღმოაჩინა და ამას „ზღვის ხმა“ უწოდა. ქარის სისწრაფისა და ტალღების ამპლიტუდის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება „ზღვის ხმის“ ინტენსიურობა. წამში დაახლოებით **300** მეტრი სისწრაფით მოძრავი ინფრაბგერა ბევრად უსწრებს წინ გრიგალს, რომელმაც იგი წარმოშვა.

ამ საიდუმლოს ამოხსნაში ბოლო ხანებში თავისი წვლილი ბიოლოგებმაც შეიტანეს — შეისწავლეს ცოცხალ ორგანიზმზე ინფრაბგერის ფიზიოლოგიური მოქმედება.

ამ ბგერების ზემოქმედების შედეგად ცხოველებს შეშფოთება და უმიზეზო შიში ეუფლებოდათ. ასეთივე უსიამოვნო სიმპტომები გამოეხატათ გამოკვლევებზე მომუშავე მოხალისეებს, როცა ისინი ექსპერიმენტულ ინფრაბგერითს კამერებში მოათავსეს.

მარსელის საზღვაო ლაბორატორიის სამეცნიერო-საკვლევ ცენტრში უჩვეულო შემთხვევა მოხდა: ინფრაბგერითი რხევის გენერატორის გამოცდისას ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა ცუდად იგრძნეს თავი. შინაგანმა ორგანოებმა — კუჭმა, გულმა, ფილტვებმა — ვიბრაცია დაიწყეს. ლაბორატორიის თანამშრომლები ტკივილისაგან იკრუნჩხებოდნენ.

ეს ამბები მეცნიერულად შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას — ყოველ ორგანიზმს ახასიათებს თავისი საკუთარი დაბალი სიხშირის რხევა. მაგალითად, თავისებური რხევისაა ჩვენი სისხლის მიმოქცევაც. თუ ინფრაბგერის პერიოდი ემთხვევა ან ახლოს არის ამ რხევის პერიოდთან, მაშინ წარმოიქმნება რეზონანსი, ამ დროს გულის ძგერის ამპლიტუდა შეიძლება იმდენად გაიზარდოს, რომ არტერია ვეღარ გაუძლებს და გასკდება; თუ ინფრაბგერის ფაზები მთლიანად ვერ ემთხვევა და ინტენსიურია სისხლის მიმოქცევასთან შედარებით, მაშინ სისხლის მიმოქცევა მუხრუჭდება და გული ჩერდება. ფრანგი მკვლევარების აზრით, ინფრაბგერა მავნებელია ყველა შემთხვევაში: სუსტი — მოქმედებს შიდა ყურზე და იწვევს ზღვის ავადმყოფობას; ძლიერი — იწვევს შინაგანი ორგანოების ვიბრაციას, აზიანებს და აჩერებს გულსაც კი; საშუალო სიხშირის რხევა იწვევს მომნელებელი ორგანოებისა და ტვინის ფუნქციების მოშლას, რასაც თან გრძნობის დაკარგვა ახლავს. მეტიც, საშუალო ძალის ინფრაბგერას ადამიანის დაღუპვაც კი შეუძლია.

ფრანგმა მეცნიერმა გავრომ ექსპერიმენტებით დაადგინა, რომ 7 ჰერცის ძალის ინფრაბგერა მომაკვდინებელია. შტორმის დროს კი ხშირად ინფრაბგერების ძალა 6 ჰერცს აღწევს. დადგენილია, რომ ინფრაბგერების გავლენა შორს სცილდება ზღვის აუზს. შტორმის წინ ზღვისპირა რაიონებში ხშირად ხდება საგზაო შემთხვევები, უარესდება ავადმყოფების მდგომარეობა, განსაკუთრებით მოქმედებს შტორმის წინა პერიოდი გულითა და სისხლძარღვებით დაავადებულებზე.

ასე რომ, ინფრაბგერას შეუძლია დააზიანოს ადამიანი, შეაშინოს, დააბრმავოს, დაბოლოს, მოკლას იგი. დავუმატოთ ისიც, რომ ჰაერში მოძრაობისას (წამში **330** მეტრი) და წყალში მოძრაობისას (წამში — **1650** მეტრი) ინფრაბგერები ასობით კილომეტრის მანძილზე არ კარგავენ ძალას.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ზოგიერთი უბედური შემთხვევა წყნარი ამინდის დროს ხდება. შტორმი შეიძლება ასობით მილის იქით მძვინვარებდეს, კატასტროფა კი სრულიად წყნარ ზღვაში მოხდეს.

ინფრაბგერითი ტალღის აუზში მოხვედრილი ეკიპაჟი შეიძლება თვალის დახამხამებაში დაიღუპოს. ამასთან სიკვდილის მიზეზის დადგენა თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგან სიკვდილს გულის გაჩერება ან სისხლძარღვების დაშლა იწვევს. როცა ინფრაბგერების ინტენსიურობა მომაკვდინებელი ძალისა არ არის, ეკიპაჟს შეუცნობი შიშის გრძნობა იპყრობს. ეს შიში მაშინ უფრო იზრდება, როცა გემის კორპუსი და გემბანის ნაწილები რხევას იწყებენ და, მოვარდნილი ინფრაბგერის რეზონანსით, რხევის მეორად წყაროდ იქცევიან. ალბათ სწორედ ასეთ შემთხვევაშია, პანიკაშეპყრობილი ეკიპაჟი რომ სტოვებს ხოლმე გემს.

ასე რომ, ბუნებაში არსებობს მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებული ლოკალური[2] ან იქნებ, გლობალური[3] გეოფიზიკური ფაქტორიც კი. მისი დამღუპველი გავლენა დადგენილია, მაგრამ თვითონ ინფრაბგერა, როგორ ჩნდება იგი, როგორ ვითარდება და საერთოდ მისი რაობა, სამწუხაროდ, სათანადოდ არ არის შესწავლილი. ეჭვს გარეშეა, რომ „უხმო მკვლელის“ სახე, ადრე თუ გვიან, ბოლომდე იქნება შესწავლილი, შემდეგ კი საწინააღმდეგო საშუალებების გამოძებნაც მოხერხდება. ამ პრობლემის ამოხსნის აუცილებლობაზე ეს სტატისტიკაც ლაპარაკობს: ყოველწლიურად ზღვებსა და ოკეანეებში უკვალოდ ქრებიან გემები, იღუპებიან ისე, რომ უბედურების მაუწყებელი სიგნალის გადაცემასაც კი ვერ ასწრებენ. რა შეუცნობი მოვლენის მსხვერპლი ხდებიან ისინი? იქნებ მათი დაღუპვის მიზეზიც ინფრაბგერებია?

„ნედელია“.

---

1 ინფრაბგერა — დაბალი სიხშირის რხევები, რომელსაც ადამიანის ყური ვერ აღიქვამს.

2 ლოკალური — განსაზღვრული ადგილსამყოფლისათვის დამახასიათებელი, ადგილობრივი.

3 გლობალური — საერთო, მთლიანი.



# არაჩვეულებრივი ძვალი

**ბჰიშამ საჰნი**

(ინდური ლეგენდის მიხედვით)

სვარანდეშის მაჰარაჯა უდიაგირი ორმოცდაათი წლისა იყო, მაჰარაჯთა მაჰარაჯა რომ გახდა. მისი ძლევამოსილი ალამი მრავალ ქვეყანაში ფრიალებდა. მეტად დიდი იყო უდიაგირის ძალაუფლება.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განმარტოებული, კარჩაკეტილი ხელმწიფე, გონებაჭვრეტით შესცქეროდა სასახლის მოღუშულ კედლებს, მისი მზეთუნახავი ცოლები კი თავიანთი სამყოფელის მორთვით იყვნენ გატაცებული. როცა უდიაგირის ჯარები საყარაულოდან ბრუნდებოდნენ, მათ საგანძურში უამრავი ბროლის ნივთი ბრწყინავდა.

მუსონების უკანასკნელი დღე იყო. მაჰარაჯთა მაჰარაჯა უდიაგირი სასახლის მინისტრებთან ერთად თავისი სამფლობელოს ჩრდილოეთში ნადირობით იქცევდა თავს.

ნაშუადღევს მხედარი ხელმწიფე ერთ ლამაზ შველს დაედევნა და გზა აებნა.

ხელმწიფე თავის ამალას კარგა შორს გასცდა, მაგრამ შვლის კვალს მაინც ვერ მიაგნო. მალე ტყეც გათავდა. დაქანცულმა მაჰარაჯამ ხის ქვეშ მოისვენა. უცებ გაიხედა და სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა: ჩამავალი მზის სხივები მაღალი მთის ამაყ შუბლს ამშვენებდნენ. იქვე, ძირში, ფართო ტბა ლურჯად ლივლივებდა. მთის კალთებზე ჰიმალაის კედრები ჰყვაოდნენ. ტბა ბუნების უძირო, წმინდა სარკეს ჰგავდა. მარჯვნივ, წყალსაცავის ახლოს, პატარა ქალაქი გაშლილიყო. საღამოს ბინდში ძლივს ჩანდნენ სახლების სახურავები. უდიაგირი ამ ზღაპრულ სილამაზეს გაოცებული შესცქეროდა... სწორედ ამ დროს მას თავს წაადგა ამალა.

— არ მეგონა, ჩემს სამფლობელოში ასეთი მშვენიერი მხარე თუ არსებობდა, — თქვა მაჰარაჯამ.

— დიდო ხელმწიფევ, ეგ მხარე არ ეკუთვნის თქვენს სამფლობელოს. თქვენი ძალაუფლების საზღვარი თავდება იქ, სადაც ახლა თქვენი ბრწყინვალება დგას.

— როგორ, ეს მხარე არ ეკუთვნის ჩემს სამფლობელოს?!

— არა, მაჰარაჯავ, ეგ ერთი პატარა თავისუფალი ქვეყანაა, რომლის მკვიდრნი მებადურობით ირჩენენ თავს.

უდიაგირს გულში მწვავე ტკივილმა ისარივით გაუარა, თვალები შურით აევსო.

— ჰმ, მაშ არ ეკუთვნის ჩემს სამფლობელოს, არა? — თქვა და მუშტი შეჰკრა, მერე კი მთავარ მინისტრს მრისხანედ მიმართა:

— ახლავე სასახლეში დაბრუნდი და ჯარი დარაზმე. მე თვითონ დავიპყრობ მაგ ქვეყანას და ჩემი სამეფოს საზღვარი ამ მთების მწვერვალებზე გაივლის.

ესა თქვა და მაჰარაჯთა მაჰარაჯამ სასახლეს მიაშურა.

ათი დღეც არ იყო გასული, რაც უდიაგირმა ბუნების ეს თვალწარმტაცი სილამაზე ნახა, და მისი ჯარები უკვე გაათრებული ლომებივით შეესივნენ ამ მყუდრო მხარეს. უდიაგირის ძალმომრეობამ ფრინველ-ნადირიც კი დააფრთხო და გახიზნა ტყეებიდან. ტბის წყალი, სადაც მეთევზეები უწინ სიმღერით შლიდნენ ბადეს, ახლა წითლად იყო შეღებილი დაჭრილთა სისხლისაგან. ჯარების ისრების წვიმა ხესაც და ქვასაც კი გმირავდა.

გავიდა სამი დღე. უდიაგირის ჯარებმა ტბა გადასცურეს და თავისუფალი ქვეყნის ქალაქის კედლებს მიადგნენ. მამაცი მებადურები ფარ-ხმალს არ ჰყრიდნენ. ლამე თუ უდიაგირის ჯარები რაიმე მცირე წარმატების გამო ზეიმობდნენ, მებადურთა ქალაქი სამარესავით დუმ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

და და, არა თუ სინათლეს, ნაპერწკალსაც ვერ მოჰკრავდით თვალს... მთელი დღის ბრძოლის შემდეგ მებადურები მოკლულებს მიასვენებდნენ და, რაკი არავისი დახმარების იმედი არ ჰქონდათ, მიწას ხელისგულს ადებდნენ და ფიცს დებდნენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ.

თენდებოდა. მაჰარაჯთა მაჰარაჯა უდიაგირი კარავში მინისტრებთან ერთად იჯდა და ქალაქზე შეტევის ახალ გეგმას სახავდა. კარავში მცველი შემოვიდა და მეფეს მოახსენა:

— მაჰარაჯავ, ვიღაც უცნობი გეახლათ, თქვენი ნახვა სურს.

— ვინ არის?

— ვიღაც ბერიკაცია, დიდო ხელმწიფევ.

— მოციქულია უთუოდ, — თქვა ერთმა მინისტრმა.

— ან მტრის ზურგიდან შემოხიზნული ჯარისკაცია, — დაუმატა მეორემ.

— უიარაღოა, მაჰარაჯავ, თანაც მეტად მოხუცია. ჯოხზე დაყრდნობილი ძლივს დადის.

უდიაგირმა მცველს ხელით ანიშნა, შემოუშვიო. მცირე ხნის შემდეგ ერთი მაღალი, მგლის ტყავის ჩამოძენძილ ნაბადში გახვეული, ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი შემოვიდა.

მოხუცმა ტვირთი მხრებიდან ჩამოიღო და მეფის წინ დადგა.

— რაშია საქმე, მოხუცო? ვინა ხარ? მე ძალიან ცოტა დრო მაქვს.

— მაჰარაჯავ, არც მე მაქვს ბევრი დრო. თქვენი სახელი და დიდება კიდით კიდემდე ქუხს. ვიდრე მოვკვდებოდე, თქვენ გეახელით.

— მტრის ბანაკიდან ხომ არა ხარ, მოხუცო?

— არა, მაჰარაჯავ, თქვენს სამფლობელოდანა ვარ. ტბის ნაპირას ერთ პატარა ქოხში ვცხოვრობ.

— მაშ რაღა გინდა, ბერიკაცო? — ხმადაბლა ჰკითხა მაჰარაჯამ.

— მოწყალებისათვის გეახელით, მაჰარაჯავ. ბრძოლის გამო ტბაზე ჩემი სამსახური შეწყდა და თავს მეღორაფრით ვირჩენ, — თქვა და ჯიბიდან ბაწაწინა თეთრი ძვალი ამოიღო. — მაჰარაჯავ, ამ ძვლის ოდენა ოქრო მომეცი და მეტი არაფერი მინდა.

უდიაგირმა ძვალს დახედა — ფრჩხილის ოდენაც კი არ იყო. მაჰარაჯამ გაიცინა:

— აკი ამბობენ, სიბერეში ადამიანები თაყვანდებიანო... მაგოდენა ოქრო სამოწყალოდაც არ ღირს, მოხუცო.

— ჩემთვის კი მაგოდენა ოქრო მთელი ქონებაა.

მაჰარაჯამ სიცილით ბრძანა, სასწორი მოეტანათ, ვერცხლის ლანგრიდან ოქროს ორი მონეტა აიღო და მოხუცს გადაუგდო.

— აბა აწონე, ეგ შენი ძვალი უფრო მძიმეა თუ ჩემი ოქრო, — თქვა და კვლავ თავის საქმეს მიუბრუნდა.

მოიტანეს სასწორი. ერთ მხარეზე ნამცეცა ძვალი დადეს, მეორეზე კი ოქროს ფულები — ძვალი ოქროზე მძიმე აღმოჩნდა. მაჰარაჯთა მაჰარაჯას შერცხვა, ვერცხლის ლანგრიდან კიდევ აიღო ორი ოქროს მონეტა და სასწორზე დაყარა. მაჰარაჯთა მაჰარაჯა ხომ გულუხვი და დიდსულოვანი უნდა იყოს! ძვალმა მაინც დაწონა ოქროს ფულები. მეფეს გაუკვირდა, ძვალი ხელში აიღო და ყურადღებით დაუწყო თვალიერება, შემდეგ ვერცხლის ლანგრიდან უკვე მუჭით აიღო ოქროს მონეტები, სასწორზე დაყარა, სასწორი ხელში დაიკავა და თვითონ შეუდგა აწონვას. ძვალმა მაინც გადაწონა ოქროს ფულები. გაოცებული მინისტრები სასწორს მიუახლოვდნენ. მოხუცმა ხელისგულები ერთმანეთს მიადო და თქვა:

— მე ჩემს ძვალს წავიღებ, მაჰარაჯავ, რაკი მისი წონა ოქრო თქვენ არ გაგაჩნიათ!

შეურაცხყოფილმა უდიაგირმა ბრძანა, დიდი სასწორი მოიტანეთო, ძვალი კვლავ ხელში აიღო, მკლავზე

## ეს უნდა იცოდე

პრაპორშჩიკი. ეს სიტყვა წარმოშობილია ძველბერძნული სიტყვიდან — ,,პრაპორ" — ,,დროშა". წოდებულება ,,პრაპორშჩიკი" დააწესა პეტრე პირველმა რეგულარული არმიის შექმნისას და წარმოადგენდა უმცროსი ოფიცრის პირველ ჩინს, რომელსაც ანიჭებდნენ მედროშედ დანიშნულ მებრძოლს. შემდგომ ეს წოდებულება მხოლოდ თადარიგის ოფიცრებისათვის იქნა შენარჩუნებული და ენიჭებოდა ომის დროს პრაპორშჩიკთა სკოლადამთავრებულებს.

მიჩმანი. ეს წოდებულებაც პეტრე პირველმა შემოიღო რუსეთის ფლოტის შექმნის დროს. ქართულად ,,მიჩმანი" გემის კაცს ნიშნავს. რუსეთის ფლოტში იგი იყო ოფიცრის პირველი ჩინი და ენიჭებოდა იმათ, ვინც წარმატებით ამთავრებდა საზღვაო კადეტთა კორპუსს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში პრაპორშჩიკისა და მიჩმანის წოდებულებები შემოღებულ იქნა 1972 წლის 1-ლ იანვრიდან.

ლეიტენანტი ფრანგული წარმოშობის ტერმინია. ნიშნავდა თავისი უფროსის შემცვლელ ოფიცერს. აქედან შეიქმნა ორმაგი წოდებულებები: კაპიტან-ლეიტენანტი, გენერალ-ლეიტენანტი. წოდებულება ,,ლეიტენანტი" პირველად დაწესდა საფრანგეთში 1444 წელს, ჯერ ფლოტში, შემდეგ კი სახმელეთო ჯარებშიც. ლეიტენანტი წარმოადგენდა ასეულის ან გარნიზონის მეთაურის უახლოეს თანაშემწეს. რუსეთში ამ ჩინს შეესაბამებოდა ,,პორუჩიკი".

საბჭოთა არმიაში 1935 წელს შემოღებულ იქნა წოდებულებები ,,ლეიტენანტი" და ,,უფროსი ლეიტენანტი", 1937 წელს კი — ,,უმცროსი ლეიტენანტი".

კაპიტანი. ეს ტერმინი წარმოქმნილია ლათინური სიტყვისაგან ,,კაპიტ" (,,კაპიტის") — ,,თავი", აქედან — ,,კაპიტინე" — ,,მხედართმთავარი". წოდებულება ,,კაპიტანი" პირველად გამოჩნდა საფრანგეთში, შუა საუკუნეებში. კაპიტნები მეთაურობდნენ სამხედრო ოლქებს, სარგებლობდნენ განსაკუთრებული უფლებებითა და პატივით. კაპიტნის ჩინი თვით მარშლის წოდებულებასაც კი აღემატებოდა. ამ ტერმინმა თანდათან დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება. 1558 წლიდან კაპიტნის ხარისხს უკვე ასეულის მეთაურებს ანიჭებდნენ. რუსეთში ეს წოდებულება პირველად ბორის გოდუნოვის დროს შემოიღეს: კაპიტნებს უწოდებდნენ უცხოელი დაქირავებული რაზმების მეთაურებს. 1647 წლიდან აქაც დაიწყეს კაპიტნის ხარისხის მინიჭება ასეულის მეთაურთათვის.

საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში წოდებულება ,,კაპიტანი" შემოღებულ იქნა 1935 წელს. ამასთანავე სამხედრო-საზღვაო ფლოტში დაწესდა ოთხი ხარისხი: კაპიტან-ლეიტენანტი, მესამე, მეორე და პირველი რანგის კაპიტანი. სამი უკანასკნელი ხარისხი უფროს ოფიცერთა კატეგორიას განეკუთვნება.

გაახახუნა და ისევ დაუწყო თვალიერება. მოიტანეს დიდი სასწორი. ერთ მხარეზე დადეს ძვალი, მეორეზე უამრავი ოქროს მონეტა, მაგრამ ძვალი მაინც უფრო მძიმე იყო.

— ეს ძვალი აშკარად ჯადოსნურია, შენ კი მოხვედი, რომ მე შეურაცხმყო, — განრისხდა მაჰარაჯა და თვალები აენთო. ვერც ძვლის გადაგდებას ბედავდა და არც იმდენი ოქროს ფული გააჩნდა, რომ ამ ძვალზე მძიმე ყოფილიყო. ბრძანა, უფრო დიდი სასწორი მოიტანეთო.

ბრძანება მალე შეასრულეს და უზარმაზარ სასწორზე ოქროს მონეტების ნაცვლად ოქროს ზოდები დააწყვეს, მაგრამ ძვალი მაინც ვერ დასძრეს. მაჰარაჯა უდიაგირი ბანქოს აზარტიან მოთამაშესავით ოქროს ზოდებს აწყობდა და აწყობდა სასწორზე. იქვე მდგომი მინისტრები კი პირდაღებული შესცქეროდნენ ამ უცნაურ სანახაობას.

მაჰარაჯას შუბლზე ოფლმა დაასხა.

მოხუცმა ხმადაბლა თქვა:

— მაჰარაჯავ, დიდია თქვენი სამეფო, მაგრამ თქვენი სამეფოს ოქრო კი არა, მთელი ქვეყნის ოქროც რომ ამ სასწორზე მოთავსდეს, ამ პატარა ძვალს მაინც ვერ გადასწონის.

უდიაგირმა მოხუცს ეჭვით შეხედა:

— რა თქვი, მოხუცო?

მოხუცმა თავი დახარა და განაგრძო:

— დიახ, მაჰარაჯავ, დედამიწის შვიდი ოკეანე ოქროდ რომ იქცეს, ეს ძვალი მაინც არ დაიჯაბნება წონაში.

მაჰარაჯა ჩაფიქრდა. მოხუცს გამჭოლავად შეხედა და ჰკითხა:

— რაშია ამ ძვლის საიდუმლოება, მოხუცო?

— ეს ნატვრის ძვალია!..

მაჰარაჯა შეცბა. თვალებში რისხვა კი გაუქრა, მაგრამ ახლა სული აუფორიაქდა... მოხუციდან მზერა არაჩვეულებრივ ძვალზე გადაიტანა.

— მაშ შენ ამბობ, რომ მთელი ქვეყნის ოქრო ამ ძვალზე მსუბუქია?

— დიახ, მაჰარაჯავ, — წყნარი ხმით მიუგო მოხუცმა და დასძინა: — არც მებადურთა ქალაქის სიმდიდრე იქნება ამ ძვალზე მძიმე, მაჰარაჯავ.

— რას ამბობ, მოხუცო! ნუთუ ამ ძვალზე მძიმე ქვეყნად არაფერი მოიპოვება?

მოხუცს გაეღიმა, იქვე მდგომ ჯარისკაცს ხანჯალი გამოართვა და ხელი გაიჭრა.

— ხელი რატომ გაიჭერი, მოხუცო? — გაოცებით იკითხა უდიაგირმა.

მოხუცმა გაჭრილი ხელი სასწორთან მიიტანა და სისხლის ერთი წვეთი სასწორზე დაწყობილ ოქროს ზოდებს დააწვეთა. სასწორის ის მხარე, რომელზედაც ძვალი იდო, მაშინვე ჰაერში ავარდა, ხოლო ოქროსზოდებიანი მხარე კი მძიმედ დაეშვა.

— მაჰარაჯავ, ჩემი უსიცოცხლო, ბებერი სისხლი აღარ ჩქეფს, მაგრამ ხომ ხედავ, მისმა ერთმა წვეთმა ეს ძვალი ადგილიდან დაძრა...

მეფე უხმოდ გავიდა კარვიდან და პირით ტბისკენ დადგა. პატარა ქალაქს კვლავ აწვიმდა ისრების წვიმა და ისმოდა დაჭრილთა გმინვა.

ღრმად ჩაფიქრებული მაჰარაჯა ხან ძვალს დასცქეროდა, ხან კიდევ — აწიოკებულ ქალაქს გაჰყურებდა.

ამბობენ, მეორე დღეს, ალიონზე, როცა საბრძოლო დაფდაფებს უნდა დაეკრათ, მებადურებმა დაინახეს, რომ უდიაგირის ჯარები შინისკენ მიმავალ გზას დასდგომოდნენ, ფრინველ-ნადირი კი ისევ თავიანთ ტყეებში ბრუნდებოდა.

ჰინდი ენიდან თარგმნა
ნიკოლოზ კენჭოშვილმა.

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე.



როცა რაიმე სქელ, მკვრივ საგანში ასეთი ფანჯარა გინდა გამოჭრა, ელექტრობურღში მრგვალი ბურღი უნდა ჩაამაგრო.



ელექტროუთოთი უთოობის დროს ელექტროზონარი განუწყვეტლივ მოძრაობს. შტეფსელიდან ჩქიფი რომ არ ამოვარდეს, დააკვირდი ამ ნახატს და მიხვდები, როგორ უნდა გაუკეთო რეზინის სამაგრი.



იმისათვის, რომ ფანჯარაზე ფარდები ჩამოიკიდოს, ყოველთვის როდია აუცილებელი კედლის გახვრეტა. ბევრ ახალ სახლში, ბეტონისა და აგურის კედელი ხის თალით არის შეკრული. მოძებნე ის ადგილი და აქ მოყვანილი ნახატის მიხედვით შეგიძლია იოლად გამართო ფარდის ჩამოსაკიდი.



ველოსიპედის მფლობელს მუდამ თან უნდა ჰქონდეს ველოსიპედისავე კამერისაგან სპირალისებურად გამოჭრილი თხელი რეზინი. როცა საბურავი გასკდება, ან რაიმე მიზეზის გამო ჰაერს გაუშვებს, იგი ლენტით შეგიძლია შეკრა და შინ იოლად მიხვიდე.

სარეცხის მანქანის მილი ხშირად სკდება ხოლმე, მაგრამ მისი გაკეთება იოლია. მილი კარგად გაამშრალე, ქლიბით გახეხე, რეზინის წებო წაუსვი და ნაჭრის საიზოლაციო ლენტი შემოახვიე.



პასტიანი ავტოკალმის ლითონის ნახმარი ღერძულათი საათის სამაჯურის კოხტად გახვრეტა შეგიძლია.



# ჟურნალ „პიონერის“ რედაქციას

**1974** წლის დეკემბრის **№ 12**-ში მოთავსებული ზუგდიდელი მოსწავლის ბელა გვილიას წერილი ეხება მეტად საინტერესო საკითხს: დღეობის გამართვას. თურმე ნანას გული დაწყდა, რომ თავისკლასელ მეგობარს თამრიკოს დაბადების დღეს ძვირფას საჩუქარს ვერ მიუტანდა. თამრიკო ობოლია დედ-მამით, მას ზრდის ბებია. ბებიას კი საშუალება არა აქვს ძვირფასი საჩუქრის შესაძენად ფული გაიღოს. ამიტომ ნანამ „სკოლაში მთელი დღე უგუნებოდ გაატარა. არაფრის ხალისი არ ჰქონდა“. ნანა დღეობაზე არ წავიდა. ნანა იხსნეს მეგობრებმა. მოვიდნენ, ეზოს ყვავილნარში ყვავილები დაკრიფეს და ამ თაიგულით ნანა თამრიკოსთან წაიყვანეს.

რედაქცია შეეკითხა თავის ნორჩ მკითხველებს: „როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა რაიმე საფუძველი ნანას წუხილს იმის გამო, რომ არ გააჩნდა საშუალება მეგობრისათვის ძვირფასი საჩუქარი მიელოცა დაბადების დღეს? მოგვწერეთ ისიც, თქვენთან როგორ აღნიშნავენ ხოლმე ასეთ თარიღს და, საერთოდ, როგორი სახე უნდა ჰქონდეს მას?“

„პიონერის“ მკითხველები გამოეხმაურენ ამ მიმართვას და, აი, ჩემს წინაშე მთელი გროვაა ბავშვების წერილებისა.

ბავშვების აზრი ამ წერილებში გულწრფელადაა გამოთქმული. მათი აზრით, დღეობის გამართვა საჭიროა. მას დიდი სიხარული მოჰყვება თან. „დაბადების დღე ადამიანის ერთ-ერთი ძვირფასი დღეა და მას მუდამ მხიარული სახე უნდა ჰქონდეს“. (ადიგენის რაიონის სოფელ არლის საშუალო სკოლის **VII** კლასის მოსწავლე დალიდა თათეშვილი) საჩუქარი კი, „საჩუქარი ყველას შეძლებისდაგვარად მიგვაქვს“.

აი, ეს „შეძლებისდაგვარად“ არ მომწონს მე. ხომ არიან კლასში უფრო შეძლებულნი და ნაკლებ შეძლებულნი? ხომ შექმნის ეს უხერხულობას მოსწავლეებში? ხომ გამოიწვევს ეს უთანასწორობის გრძნობას? ყალბ სირცხვილს და ყალბ სიამაყეს? ბუნებრივად გამოეთიშება „შეძლებული“ „არაშეძლებულს“. ბავშვი ბავშვია და შეიძლება შურიც დაიბადოს ამ შემთხვევაში.

მეორე მოსწავლე წერს: „დაბადების დღეზე ჩვენ არ მიგვაქვს ძვირფასი საჩუქრები. უბრალოდ, ღია ბარათებით მივულოცავთ ხოლმე, ან არადა ყვავილები ან რაიმე წიგნი მიგვაქვს.

„ჩემი აზრით, ამხანაგის დაბადების დღის აღნიშვნას სრულიად უბრალო, სადა სახე უნდა ჰქონდეს“. (ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლის **V** კლასის მოსწავლე მარინე ჩქვანავა).

აი, ეს სრულიად სადი და სწორი აზრია. ყოჩაღ, მარინე!

საერთოდ კი, წერილებში ის აზრია გამოთქმული, რომ დაბადების დღე უნდა აღინიშნოს, ოღონდ სადად, უბრალოდ: ყვავილებით ან საკუთარი ხელით გამომცხვარი ნამცხვრით, ანდა წიგნით და ღია ბარათით. ბავშვები წინააღმდეგი არიან მშობლების ფულით იყიდონ ძვირფასი საჩუქარი. „მშობლების ფულით ნაყიდი საჩუქარი ხომ თვითონ ბავშვებისა არ არის და მას არავითარი ფასი არა აქვს“. (ამბროლაურის რაიონის ჭელიაღელის 8-წლიანი სკოლის **VII** კლასის მოსწავლე ნანა ბიბილაშვილი).

მე ძალიან მომეწონა ამ ნანას აზრი. ჩანს, ნანას ესმის შრომის ფასი და პატივს სცემს მას. მას უნდა თავისი შრომით გაახაროს მეგობარი და არა მშობლების ფულით. იმავე წერილში ეს ნანა წერს „მაისის ყვავილების“ ნანას: „შენს მიერ მირთმეულ ყვავილებს უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე იმას, ეკამ თამრიკოს რომ გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ჩაუდო ხელში. ხომ არ გგონია, ნანა, რომ ეკამ თამრიკოს დაბადების დღე თვითონ მიულოცა? არა, ნანა, თამრიკოს დაბადების დღე ეკამ კი არა, ეკას მშობლებმა მიულოცეს და მას არავითარი ფასი არა აქვს“.

სწორი აზრია! ამ წერილში ჭკუაც ჩანს და საკუთარი ღირსების გრძნობაც. ნანა ბიბილაშვილი დამოუკიდებელი ხასიათისაა, თავმოყვარე და სხვისი ხელით ნარის მოგლეჯა არ სურს. თავის ჭკვიან წერილს ის ასე ამთავრებს: „ლამაზი ბარათები და ყვავილები უფრო ძვირფასი საჩუქარი არის, ვიდრე მშობლების ფულით ნაყიდი რაიმე ნივთი“.

მომეწონა ეს წერილი. მადლობის ღირსია ის სკოლა, რომელიც ასეთ ბავშვებს ზრდის...

რადგან წერილები ერთმანეთს გვანან, მე ცალ-ცალკე მათ არ განვიხილავ. გამოვთქვამთ კი საერთო მოსაზრებას.

მოსწავლეებმა დაბადების დღე უნდა აღნიშნონ სურვილისამებრ, რადგან ეს ძველთაგან გადმოცემული მხიარული წესია. ოღონდ არაა საჭირო ძვირფასი საჩუქრების მირთმევა. ის ოჯახი, სადაც ეს დღე აღინიშნება, უნდა მართავდეს ამ დღეს სადად და უბრალოდ: თამაშით, გართობით. ეს დღე არ უნდა გადაიქცეს მობოჭვისა და შემოსავლის დღედ ერთისათვის და შეწუხების დღედ იმათთვის, ვისაც არ შეუძლია ფული დახარჯოს. სალამოზე ყველა სტუმარი ბავშვი თანაბარ მდგომარეობაში უნდა გრძნობდეს თავს. სალამოზე უნდა იგრძნობოდეს ეს კოლეგიალობა. ერთი ბავშვის საჩუქარი თავისი ფულადი ღირებულებით მეორეს არ უნდა ჩაგრავდეს. შეიძლება ასეც: „თუ ამხანაგის დაბადების დღეზე მთელი კლასი მიდის, უკეთესია წაიღოს ერთიანი საჩუქარი, რომლის გაკეთებაში მონაწილეობას მიიღებს თითოეული მოსწავლე“. (რუსთავის **№ 10** საშ. სკოლის ნათელა ჩელებაძის სახ. მე-9 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მაია ქუფარაშვილი).

ეს ფორმაც კარგია. კოლეგიალობა სიხარულშიაც კარგი სიკეთეა. მარტოხელა სიხარული რა სიხარულია, აკი ამბობს ჩვენი ხალხი „მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალია“...

საერთოდ კი, ამ წერილების გროვა იმას მოწმობს, რომ ჩვენ გვეზრდება შრომის პატივისმცემელი, თავმოყვარე, მობოჭვის მოწინააღმდეგე, დამოუკიდებელი აზროვნებისა და კოლექტიური განწყობილების მოზარდი თაობა...

ვულოცავ ამ კარგ თაობას ჩემს კარგ ქვეყანას!..

როდიონ ქორქია.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 10

## ყველაზე ძვირფასი

ძვირფასო ნანა! შენი წუხილი სრულიად უსაფუძვლოა. მშობლების ფულით ნაყიდი საჩუქარი ხომ თვითონ ბავშვებისა არ არის და ამიტომ მას არავითარი ფასი არა აქვს.

შენ, ნანა, კარგად მოქცეულხარ შემდეგ, თამრიკოს დაბადების დღე რომ ყვავილებით მიულოცე. ეს ყვავილები ხომ შენი გახარებულია, განა მას რაიმე ნივთი შეედრება? შენს მიერ მირთმეულ ყვავილებს უფრო დიდი ფასი აქვს ვიდრე იმას, ეკამ თამრიკოს რომ გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ჩაუდო ხელში. ხომ არ გგონია, რომ ეკამ თამრიკოს დაბადების დღე თვითონ მიულოცა? არა, ნანა, თამრიკოს დაბადების დღე ეკამ კი არა, ეკას მშობლებმა მიულოცეს და მას არავითარი ფასი არ აქვს.

მე კი ჩემს ამხანაგებს დაბადების დღეს ლამაზი ბარათებით და ყვავილებით ვულოცავ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ლამაზი ბარათები და ყვავილები უფრო ძვირფასი საჩუქარი არის, ვიდრე მშობლების ფულით ნაყიდი რაიმე ნივთი.

**ნანა ბიბილაშვილი,**
ამბროლაურის რაიონის ჭელიაღელის 8-წლიანი სკოლის VII კლასის მოსწავლე.

ჩემი აზრი კითხვაზე — „ჰქონდა თუ არა რაიმე საფუძველი ნანას წუხილს იმის გამო, რომ არ გააჩნდა საშუალება, მეგობრისათვის ძვირფასი საჩუქრით მიელოცა დაბადების დღე“, ასეთია:

რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი დამწუხრდება, თუ ის ნანას მდგომარეობაში ჩავარდება. ნანამ ვერ მოიფიქრა დაეკრიფა ყვავილები ან იქნებ რცხვენოდა — ასეთი საჩუქრით ამხანაგებში როგორ გამოვჩნდეო. მაგრამ კარგი ამხანაგების დახმარებით წუხილი გაუქარწყლდა. ჩვენ ამხანაგების დაბადების დღეზე საჩუქარი ყველას შეძლებისდაგვარად მიგვაქვს, გულითადი სიტყვებით მივულოცავთ და ისიც უზომოდ კმაყოფილია ხოლმე. დაბადების დღე ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი ძვირფასი დღეა და მას მუდამ მხიარული სახე უნდა ჰქონდეს.

**დალიდა თათეშვილი,**
ადიგენის რაიონის არლის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## საჩუქარი შენი ხელით უნდა გააკეთო

„მაისის ყვავილები“ ჯერ კიდევ არ მქონდა ბოლომდე წაკითხული, როდესაც გავიგე, რომ ნანა ძალიან დარდობდა საჩუქარზე. გამიკვირდა, რატომ არ მოაგონდა მას საჩუქრად ყვავილების წაღება, მას ხომ ყვავილნარი ჰქონდა?

ჩემი აზრი ასეთია: ყველაზე კარგი საჩუქარი ადამიანისათვის ის არის, რასაც კეთილი გულით მიუძღვნი, განსაკუთრებით კი — შენივე ხელით შექმნილს. მაგალითად, ნახატს, ლექსს, შენი ხელით გაკეთებულ რაიმე სათამაშოს და ა. შ.

პირადად მე ამხანაგს დაბადების დღეს ვულოცავ ხოლმე უმეტესად ჩემი ხელით გამომცხვარი ნამცხვრით. ჩემი აზრით, არ არის საჭირო მეგობრისათვის ძვირფასი საჩუქრის მირთმევა. ამით უნდა შევაწუხოთ მშობლები და უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდოთ სხვა მეგობრები, რომელთა საჩუქრები ისეთი ძვირფასი არ იქნება, როგორიც ჩვენი. ისინი თავს დამცირებულად იგრძნობენ. ვფიქრობ, თუ მთელი კლასი მიდის დაბადების დღეზე, უკეთესია წაიღონ ერთიანი საჩუქარი, რომლის გაკეთებაში ყველა მიიღებს მონაწილეობას.

**მაია ქუფარაშვილი,**
რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის ნათელა ჩელებაძის სახელობის მე-9 რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

### რედაქციისაგან:

„პიონერის“ სარედაქციო ფოსტაში დაგროვდა ბევრი წერილი, რომელთა ავტორები გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს, თუ როგორ უნდა აღინიშნებოდეს ამხანაგის დაბადების დღე. ვინაიდან შეუძლებელია „აისის“ ფურცლებზე ყველა ამ წერილის გამოქვეყნება (თანაც ზოგიერთი წერილი რედაქციამ დაგვიანებით მიიღო), დასაბეჭდად შეირჩა ისეთები, რომლებშიც ავტორთა დიდი უმეტესობის მოსაზრებებია გამოთქმული.

რედაქცია მადლობას უცხადებს ნორჩ კორესპონდენტებს, რომელთა წერილები აღნიშნული მიზეზების გამო ვერ გამოქვეყნდა. აი, ისინი: მარინე ჩქვანავა (ზუგდიდი), თამარ გაბროშვილი (გორი, ფხვენისი), გიული ყარმაზანაშვილი, ჟუჟუნა ხორბალაძე (კასპი), მზია კუპრაძე (ლაგოდეხი, ყარსუბანი), მარიკა ქურხული (საგარეჯო), ქეთინო ტოროშელიძე, ნანა არჩვაძე (ამბროლაური, სხვავა), თინათინ პატრიაშვილი (კოჯორი), ირინე კუკავა (სამტრედია), პაატა კვეკვესკირი (გალი), უჩა ტყეშელაშვილი (ბათუმი), ნინო მახათაძე (ახალციხე, აწყური), ლეილა ქარელი (გორი, ტყვიავი), მაია წურწუმია (ფოთი), იზა ომანაშვილი (ქვემო ხოდაშენი), დალი ფოჩხუა (გულრიფში, ბაბუშარა), ნადია ზამთარაშვილი (თიანეთი, ნაქალაქარი), მანანა ნანიშვილი (ახმეტა, ოსიაური), მარინე ბაქრაძე (ხაშური), ქეთინო ტეტელოშვილი (გურჯაანი, კარდანახი), ლია ჩაგუნავა (ადიგენი), ნინო ფიცხელაური (ყაზბეგი), დარეჯან ბაზაძე (თბილისი).



სკოლაში, პიონერთა ბანაკში, ეზოში ტოლებთან ერთად, ალბათ მიგიღიათ მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრში. ხშირად სირბილშიც შეჯიბრებიხართ ერთმანეთს. ფიზკულტურის მასწავლებელს თქვენთვის არაერთხელ აუხსნია, თუ როგორ უნდა გადაევლოთ თამასას, როგორ ირბინოთ მოკლე მანძილზე, როგორ გადახტეთ სიგრძეზე; გასწავლეს, ალბათ, ცურვის ანაბანაც. მაგრამ ყოველივე ამას შესრულებით, მრავალგზის გამეორებით სჭირდება განმტკიცება. ამიტომ გადავწყვიტეთ აგიხსნათ, როგორ უნდა შეასრულოთ მ შ თ-ს კომპლექსის ვარჯიშები. ჯერ სირბილზე გვექნება საუბარი, შემდეგ ხტომებზე, ტყორცნებზე და ა. შ. მოგითხრობთ იმაზეც, თუ რა დამატებითი ვარჯიშების შესრულებაა საჭირო, რათა გაგიადვილდეთ მ შ თ-ს საფეხურთა ნორმატივების ჩაბარება.

გახსოვდეთ, აქედანვე, ამ საფეხურების გავლით იწყება გზა დიდი სპორტისაკენ, გამოჩენილ სპორტსმენად გახდომისათვის, რაზეც, ალბათ, არაერთ თქვენგანს უოცნებია.

მაშ ასე, დავდგეთ სტარტზე და დავიწყოთ ვარჯიში.

# ყურადღება, სტარტზე!

## მოკლე მანძილზე რბენა

### პირველი გაკვეთილი

გახსოვდეთ, მოკლე მანძილზე რბენა სპორტის ბევრი სახეობის, მათ შორის მ შ. თ-ს საფუძველთა საფუძველია. თავად განსაჯეთ, იმისათვის, რომ შორსა და მაღლა გადახტე, სწრაფი გარბენაა საჭირო. ბურთსაც უფრო შორს ისვრი, თუ მას გამორბენით სტყორცნი. მოკლე მანძილზე სირბილი სჭირდება ყველა სახის სპორტულ თამაშს, ფეხბურთი იქნება ეს, კალათბურთი ფრენბურთი, ხელბურთი თუ სხვა. მძლეოსნობა და სათხილამურო სპორტი კი ხომ მთლად სირბილზეა დაფუძნებული.

თუ გინდა კარგი სირბილი ისწავლო, გახსოვდეს, სირბილის დროს ტერფები და მუხლები აქეთ-იქით კი არ უნდა მიდი-მოდიოდეს, არამედ ერთ, სწორ ხაზზე უნდა მოძრაობდეს. ეს ხელებსაც შეეხება. აქეთ-იქით ხელ-ფეხის ქნევა ტანს სწრაფი მოძრაობის უნარს უკარგავს. (აქ გვინდა შეგახსენოთ ერთი მთავარი დებულება, რომელიც სპორტის ყველა სახეობას ეხება: თავიდან არასწორად ათვისებული მოძრაობა შემდეგ ძალზე ძნელი გამოსასწორებელია). სირბილის დროს, მუხლში მოხრილი ფეხები მაღლა უნდა ასწიო. მიწიდან არეკნისას ფეხი მთლიანად უნდა გამართო და მოძრაობა მკვეთრი ბიძგით დაამთავრო, რბენისას ტანი ცოტა წინ უნდა გადახარო. ფი-



ნიშის ხაზი სწრაფად უნდა გადაკვეთო, ე. ი. სირბილი მხოლოდ ფინიშის შემდეგ უნდა შეანელო. ახლა მიდი და სტარტზე დადექ. 10-11 წლისანი 30 მეტრს გაირბენენ, 12-13-წლისანები 60-ს. 30 მეტრზე სირბილის დაწყება მაღალი სტარტით შეიძლება. 60 მეტრზე სირბილი კი დაბალი სტარტით უნდა დაიწყო. ძახილზე — „სტარტზე!“ ხაზთან დადგები. ძახილზე — „ყურადღება!“ ტანი წინ გადახარე, მკლავები მოხარე, მარჯვენა ხელი მარცხენაზე ცოტა წინ დაიჭირე. ძახილზე — „მარშ!“ მარცხენა ფეხით სწრაფი ბიძგი გააკეთე, მარჯვენა ფეხი წინ ისროლე და ადგილს მოწყდი, თან ხელებიც ენერგიულად ამოძრავე.

ასეთია მოკლე მანძილზე სირბილის ძირითადი ფაზები, ხოლო იმისათვის, რომ მანძილი სწრაფად გაირბინოთ, სტარტზე ხშირად უნდა დადგეთ, ე. ი. ხშირად უნდა გაირბინოთ მანძილი. ამასთანავე მოცლილობის დროს არასოდეს არ მოერიდოთ მოძრავ თამაშებს, სახლის ეზოში იქნება ეს, მდინარისა თუ ზღვის სანაპიროზე, შესვენებებზე, სკოლის მოედანზე თუ სხვაგან სადმე, როგორც კი რამდენიმე ბავშვი მოიყრის თავს, ეცადეთ მოძრავი თამაშები გააჩაღოთ. ყველაფერი კარგია, რაშიც სირბილი შედის: დაჭერობანა, დროშობანა, „გრძელი ვირი“ და სხვ.

ბავშვებო, სირბილის ყველა წვრილმანის წაკითხულით სწავლა, ცხადია, ძნელია, მაგრამ, რასაც ეს ტექსტი ვერ განგიმარტავთ, იქ ნახატები დაგეხმარებათ. აქ მოყვანილ სქემაზე სირბილის ყველა ფაზა ზუსტადაა ასახული.






## ორჯერ გაიზრდება...

გამოანგარიშებულია, რომ ეკონომიური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში შემავალ ევროპულ ქვეყნებში 1968 წელს დაიხარჯა 279 მილიონი ტონა საწვავი სითხე, 1980 წელს კი 671 მილიონი ტონა დაიხარჯება. ჩრდილოეთ ამერიკაში საწვავი სათბობის მოხმარება 189-დან 318 მილიონ ტონამდე გაიზრდება, იაპონიაში — 69-დან 272-მდე. ამავე დროისთვის ევროპაში ქვანახშირის მოხმარება გაიზრდება 90 პროცენტით. ერთი სიტყვით, ჭრასასიამოვნო პერსპექტივაა. ეფექტური ზომები თუ არ იქნა მიღებული, 1980 წლისთვის ჰაერის გაჭუჭყიანება ორჯერ გაიზრდება.

## წყალი გასაყიდ საქონლად იქცა

ბევრ დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოში გარემოს კატასტროფული გაჭუჭყიანება იქამდე მივიდა, რომ სუფთა წყალი გასაყიდი საქონელი გახდა. ბოჰუმში (გფრ) პოლიეთილენის ტოპრაკებით იყიდება ჩვეულებრივი წყალი, ერთი ლიტრი დაახლოებით 14 კაპიკად. რურის ოლქში კი ფხიანი საქმოსნები სამჯერ უფრო ძვირად ჰყიდიან „სპეციალურ წყალს ყავისა და ჩაისთვის“

## ხმელთაშუა ზღვის ბედი

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ხმელთაშუა ზღვაში მკვეთრად შემცირდა თევზის რაოდენობა. ამის მიზეზია ჯერ ერთი ის, რომ ზღვას აჭუჭყიანებენ სამრეწველო საწარმოები, მეორეც, წყალში ხვდება ტანკერებიდან გადმოღვრილი ნავთობის ნარჩენები — 300 ათასი ტონა წელიწადში! რადგან ხმელთაშუა ზღვის წყალი მთლიანად მხოლოდ 80 წლის განმავლობაში ახლდება, მოსალოდნელია, 30 წლის შემდეგ ეს ზღვა „მკვდარ“ ზღვად იქცეს, თუ დღევანდელი ტემპით გაგრძელდა მისი გაჭუჭყიანება.

## ახალი მიკროსკოპი

იაპონელმა სპეციალისტებმა შექმნეს ახალი სტერეომიკროსკოპი, რომელიც ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ მას ოთხი ოკულარი აქვს.

ახალი მიკროსკოპი საშუალებას იძლევა გაორკეცდეს დაკვირვებები და ექსპერიმენტები.

## მატარებელი — მტვერსასრუტი

ღამით, პარიზის მეტროში, რომელიც 840 კილომეტრზეა გაჭიმული, დადის სამვაგონიანი სპეციალური მატარებელი. მისი დანიშნულებაა გვირაბებისა და მიწისქვეშა ბაქნების გასუფთავება ტალახისა და წვრილი ნაგვისაგან. შუა ვაგონიდან გამოდის შეკუმშული ჰაერის მძლავრი ნაკადი, იგი უბერავს ტალახს და წვრილ ნაგავთან ერთად მაღლა იტაცებს. განაპირა ვაგონები კი შემსრუტავი დანადგრებითაა აღჭურვილი.

## ბალტიის ზღვა მტკნარი გახდება

ზღვისპირა ქვეყნები არცთუ იშვიათად განიცდიან მტკნარი წყლის ნაკლებობას. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პოლონეთი და შვეცია. პოლონეთში საინტერესო პროექტი წარმოიშვა: ბალტიის ზღვა მტკნარწყლიანი გახდეს. ამის განხორციელება პრაქტიკულად შესაძლებელია. საქმე ის არის, რომ ბალტიის ზღვაში მარილი ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე მსოფლიო ოკეანეებში და, თუ ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვებს შორის ჯებირი აშენდება, ბალტიის ზღვაში მარილიანი წყლის შესვლა სრულებით შეწყდება, იგი მხოლოდ მდინარეთა წყლით შეივსება. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბალტიის ზღვა მტკნარწყლიანი გახდება და წყლით მოამარაგებს თავის გარშემო მდებარე ქვეყნებს.

## ლობიო, რომლის ხნოვანებაც 10 ათასი წელია

დღეს მსოფლიოს ბევრი ხალხი თვლის ლობიოს თავის ეროვნულ კერძად. ევროპასა და აზიაში ეს კულტურა გაცილებით გვიან გამოჩნდა, ვიდრე სამხრეთ ამერიკაში. ცნობილია, რომ ინდიელები ლობიოს უხვ მოსავალს იღებდნენ ჯერ კიდევ 1000 წლის წინათ. მაგრამ ლობიოს კიდევ უფრო ხანგრძლივი ისტორია ჰქონია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ არქეოლოგებისა და ანთროპოლოგების ჯგუფმა გამოიკვლია ანცაკის მღვიმეები პერუში. 10 ათასი წლის უკან აქ მცხოვრები ადამიანები, როგორც ჩანს, კარგი მიწათმოქმედნი და მონადირეები იყვნენ, ამას მოწმობს მღვიმეებში ნაპოვნი ცხოველთა ძვლები და საჭმლის ნარჩენები. მღვიმეებში აღმოჩნდა აგრეთვე მრავალი დანახშირებული და გაქვავებული ლობიოს მარცვალი. ისინი ძალიან ჰგვანან იმ ლობიოს, რომელიც ამჟამად პანამასა და მექსიკაშია გავრცელებული.

გულმოდგინე დაკვირვებით გამოირკვა, რომ მღვიმეებში მობინადრე ადამიანები ველურ ლობიოს კი არ ჭამდნენ, არამედ — კვლებში სპეციალურად გამოყვანილს. სწორედ მათ დაიწყეს ამ კულტურის სელექცია. საუკეთესო ჯიშების ხნოვანება 7 800 წელია, უძველესი ჯიშებისა კი — 10.200 წელი.

## რაც უფრო ნელა, მით უკეთესია

როგორ უნდა ვჭამოთ ვაშლი? ალექსანდრიის უნივერსიტეტის ბოტანიკური ლაბორატორიის თანამშრომლები გვირჩევენ, რაც შეიძლება ნელა დავღეჭოთ. მათი მტკიცებით, ერთი ვაშლის შეჭმას თუ 15 წუთს მოვანდომებთ, ორგანული მჟავები და პექტინური ნივთიერებები, რომლებსაც კანი და რბილობი შეიცავენ, პირის ღრუში არსებული ბაქტერიების 90 პროცენტს მოსპობენ. თუ მოთმინებას გამოვიჩენთ და ვაშლის დაღეჭილ მასას ორ საათს გავაჩერებთ პირში, ყველა ბაქტერია დაიღუპება.

# საინტერესო თემაზე

## ყველაზე, ყველაზე გემრიელი

ყველაზე გემრიელი მცენარე დედამიწაზე იზრდება პარაგვაიში. მისი წვენი სამასჯერ ტკბილია შაქარზე. ერთ ჭიქა ჩაის დასატკბობად საკმარისია მისი ერთი წვეთი.

## სანთლები — საათებად...

ძველად ხდებოდა ხოლმე: როცა ადამიანი შეეკითხებოდა ვინმეს, რომელი საათიაო, იგი სანთელს შეხედავდა. და ამას იგი აკეთებდა არა დაბნეულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ შორეულ წარსულში სანთლები გამოიყენებოდა დროის საზომად.

ცნობილია, რომ მეფე კარლოს მეხუთის სასახლეში დღედაღამ ენთო დიდი სანთელი, რომელიც შავი ხაზებით დაყოფილი იყო 24 თანაბარ ნაწილად. ეს დანაყოფები აღნიშნავდნენ საათებს.

მოსამსახურეებს ევალებოდათ დროზე მოეხსენებინათ მეფისათვის, რომელ ნიშნამდე დაიწვა სანთელი.

## მძიმე

წიგნში პირველი მძიმე გაჩნდა მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეების მიჯნაზე. იგი იხმარა ვენეციელმა მბეჭდავმა ალდ მუნიციიმ. მან შემოიღო აგრეთვე დასათაურება გამოსაცემ წიგნებში.

## ყველაზე პატარა თევზი

მსოფლიოში ყველაზე მცირე ზომის თევზად ითვლება პანდაკაპიგმეა. იგი აღმოჩენილია ფილიპინების კუნძულების ტბებში. მისი სიგრძე თორმეტ მილიმეტრზე ნაკლებია.

## ყველაზე სწრაფი არსება

ყველაზე სწრაფ არსებად ითვლება ჩრდილოეთ ინგლისში გავრცელებული მწერი ცეფენომია. იგი საათში გადის 1.300 კილომეტრს.

ოთხფეხათა შორის ყველაზე სწრაფად გარბის ავაზა, რომელსაც საათში 100 კილომეტრის სიჩქარით შეუძლია მოძრაობა. მას სისწრაფეში ჩამორჩებიან თვით სირაქლემებიც კი, რომლებიც დარბიან წამში 25 მეტრის სიჩქარით, და აგრეთვე კურდღლები — მათი სიჩქარეა 22 მეტრი წამში.

## ხანძარი, რომელიც 2000 წელი გრძელდება

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მდებარე რავატის მთებში ორი ათასი წელია მძვინვარებს საშინელი ხანძარი.

როგორ გაჩნდა იგი? შეიძლება უძველეს დროში ადამიანმა კოცონი გააჩაღა გამოქვაბულში და იმის ადვილად აალებად კედლებს წაეკიდათ ცეცხლი და მას მერე ანთია და ანთია?

ხანძარი ვეებერთელა ფართობზეა მოდებული, რომლის სიგრძე 25, სიგანე კი ერთი კილომეტრია. მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლმა უამრავი ნედლეული შთანთქა, აქ დღეისათვის შემონახულია ერთნახევარი მილიარდი ტონა პირველხარისხოვანი ქვანახშირის მარაგი.

რავატში ხანძარი კი არ კლებულობს, პირიქით თანდათან ძლიერდება. წვიმის წყლები ყოველწლიურად უფრო და უფრო რეცხავენ და აშიშვლებენ მთას მიწის ქანებისაგან და ამით ცეცხლს საშუალება ეძლევა ქვანახშირის ღრმა ფენებში შეაღწიოს.

გეოლოგების აზრით ამ ძველისძველი ხანძრის ჩაქრობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


მგელაძე ნ. — სკოლაში ლ. ბრეჟნევის წერილი მოვიდა (ფოტორეპორტაჟი) . . . . . . . . . . . . 1
ბარათაშვილი მ. — ქალთა საერთაშორისო წელი (წერილი) 3
კალაძე ნ. — იმ დღეთა მოსაგონარი (მოგონება) . . . . 7
კაჭახიძე გ. — ახალი ლექსები. . . . . . . . . 8
ბაწელაშვილი ზ. — მთვარის დაბადება (მოთხრობა) . . . 8
მესხიშვილი გ. — აქაც იალებს მარადუქრობი შუქურა (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . 14
კალანდაძე ალ. — დღეები ბრესტის სიმაგრეში (დოკუმენტური მოთხრობა.) . . . . . . . . . . 17
ივარდავა დ. — გაზაფხული მოდის (ლექსი) . . . . . 21
კეცხოველი ნ. — ცოდნა და შრომა განუყოფელია (წერილი) 22
საჰნი ბჰიშამ — არაჩვეულებრივი ძვალი (ლეგენდა) . . . 25
ეს უნდა იცოდე . . . . . . . . . . . . . . 26
საზრიანის ხელში . . . . . . . . . . . . 27
აისი . . . . . . . . . . . . . . . . . 28
ყურადღება! „სტარტზე!“ . . . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . . . . 31
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . . . . გარეკ. 3



გარეკანის მხატვრობა ე. ამბოკაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 17/I-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/III-75 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 189. ტირ. 142.075. უე 01807.

ფასი 20 კაპიკი



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

© „პიონერი“, 1975 წ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## კროსვორდი




**შვეულად:** 1. ლიტერატურისა და ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობლიობა; 4. დადგენილი ნიმუშის დეტალი; 5. ლათინური, მომრგვალებული მოხაზულობის შრიფტი; 10. ყვავილი; 11. სიტყვა, რომელიც ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა სხვა სიტყვას, ხოლო მნიშვნელობით განსხვავდება მისგან; 12. ჭეშმარიტი, ნამდვილი; 13. მდინარე საქართველოში; 14. შეჯიბრება სპორტის რომელიმე სახეობაში; 15. ქიმიური ელემენტი, მახრჩობელა გაზი; 19. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 20. რისამე მარაგი.

**თარაზულად:** 1. სამკურნალო დაწესებულება, სადაც ავადმყოფთა მკურნალობასთან ერთად ტარდება სტუდენტთა პრაქტიკა და მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა; 2. კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც შედგება სისხლძარღვების ან ლიმფის სადინარებისაგან; 3. რაიმე მოქმედების სურვილის აღმძვრელი მიზეზი, ბიძგი; 6. დრამატული ნაწარმოები, რომელსაც აქვს სასაცილო (გასართობი) ან სატირული სიუჟეტი; 7. ქალაქი საქართველოში; 8. აფრიკის პორტი; 9. მოგზაური, რომელმაც აღმოაჩინა ამერიკა; 16. გარეული ცხოველი; 17. სახელმწიფო აზიაში; 18. ქიმიური ელემენტი; 20. ცხოველთა სამყარო.




მარინე ამბოკაძე,
თბილისის გახანგრძლივებული დღის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.


## პასუხი № 2-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### ლილის მიკერება

ლილი ძაფით ოცდაერთ სხვადასხვა ვარიანტად შეიძლება დაეკეროს.



### კიბეები

გურამი მესამე სართულზე, 40 საფეხურის სიმაღლეზე ცხოვრობს. გია 120 საფეხურის სიმაღლეზე, ეს მე-7 სართულს უდრის. თამაზი ცხოვრობს მეექვსე სართულზე, ე. ი. 100 საფეხურის სიმაღლეზე. გურამი ადის 40+40=80 საფეხურზე, გია—120+40=160 საფეხურზე, თამაზი 100+40+20=160 საფეხურზე.

### რამდენი კუბია

პირობის მიხედვით კუბები თანაბარია. ე. ი. თითოეულ მათგანს აქვს: შავი, თეთრი, შვეულად დახაზული, თარაზულად დახაზული, მარცხნივ დახრილი ხაზებიანი და მარჯვნივ დახრილი ხაზებიანი გვერდი. კუბს ორი ერთნაირი გვერდი არ გააჩნია. გამოდის რომ კუბი ექვსი ყოფილა, რადგან, თუ ვიგულისხმებთ, რომ შვიდი კუბია, მაშინ ზოგიერთ მათგანს ორი ერთნაირი გვერდი უნდა ჰქონდეს.



### ხე

თუ ხე არ გახმა, ტოტი იმავე სიმაღლეზე იქნება.

### გამოცანები

1.

ახალი წელი

2.

222
211

### მაგიური კვადრატები

| | | |
|---|---|---|
| 8 | 3 | 10 |
| 9 | 7 | 5 |
| 4 | 11 | 6 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | 15 | 16 | 5 |
| 13 | 8 | 7 | 10 |
| 9 | 12 | 11 | 6 |
| 14 | 3 | 10 | 5 |

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა

